*დანართი №2*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

*(სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის N2 საჯარო სკოლა)*

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ინა ბიწაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

**წევრები:**

- ლია ეჯაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- ია ვარდსანიძე (საბუნებისმეტყველმეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- მაია შამუგია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ანა კოკოჩაშვილი - ახვლედიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

- ეკა ბარნაბიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ჟანა ბელქანია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ია სეხნიაშვილი (სახელმწიფოენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თამარ მურუსიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ქეთევანი ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ნინოკოზიაშვილი (ზოგად განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | **სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის N2 საჯაროსკოლა** |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | **საჯაროსამართლის იურიდიული პირი** |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | **229655619** |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | **ქალაქი ვანი** |
| იურიდიული მისამართი | **ქალაქი ვანი, 26 მაისის ქუჩა N3** |
| ფაქტობრივი მისამართი | **ქალაქი ვანი, 26 მაისის ქუჩა N3** |
| საფოსტო ინდექსი | **1400** |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | **https://catalog.emis.ge/institutions/871** |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | Vani2@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | **577311358** |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის გრძანების ნომერი და თარიღი) | სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის გრძანება MES 3 23 0001066541<br>01.09.2023 წ |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 23 – 24 ოქტომბერი, 2023 წ |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

*„ზოგადი განათლების შესახებ“* საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
| | **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა** | **დაწყებითი საფეხური I – VI კლასი** | **ქართული** | **ქალაქი ვანი, 26 მაისის ქუჩა N3** |
| | **ზოგადი განათლების საბაზისო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა** | **საბაზისო საფეხური VII – IX კლასი** | **ქართული** | **ქალაქი ვანი, 26 მაისის ქუჩა N3** |
| | **ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა** | **საშუალო საფეხური X – XII კლასი** | **ქართული** | **ქალაქი ვანი, 26 მაისის ქუჩა N3** |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*

სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის N2 საჯარო სკოლის შეფასების პროცესში ყველა ექსპერტი აქტიურად იყო ჩართული. დაწესებულებაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. ექსპერტების მიერ სკოლიდან შესაბამის ვადებში გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, რომლის ნაწილი სკოლამ დროულად მოგვაწოდა, ნაწილი კი ადგილზე ვიზიტისას დაგვახვედრა. ვიზიტმა ჩაიარა საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო

დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ლაბორატორიები.

საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტისა, რომელმაც ვიზიტის პერიოდში განიხილა კურიკულუმები, დაათვალიერა სასწავლო გარემო და გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა. ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში სკოლამ გამოავლინა თანამშრომლობის მაღალი კულტურა. სკოლის პერსონალს კარგად აქვს გააზრებული საკუთარი უფლება- მოვალეობანი, იცნობენ განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებს და ნერგავენ სასკოლო პრაქტიკაში, სკოლის დირექცია მაქსიმალურად უწყობს ხელს მოსწავლეებს ფორმალური განათლების პარალელურად მიიღონ არაფორმალური განათლება. სასკოლო საზოგადოება მზადაა მუდმივი განვითარებისათვის, მონიტორინგისა და შეფასებისთვის, რადგან ხარისხიანი განათლების მიღება მუდმივი პროგრესის გარეშე შეუძლებელია.

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

**VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა**

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლას ჰყავს ძლიერი მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელთა ინიციატივები მხარდაჭერილია სკოლის დირექციის მიერ. მოგებული აქვთ საგრანტო პროექტები, რომლებსაც წარმატებით ახორციელებენ სკოლაში. სოციალურ ქსელში ფუნქციონირებს მოსწავლეთა მიერ შექმნილი სკოლის ტელევიზია „ტაბიძე TV". სკოლაში მაღალ დონეზე დანერგილია პროექტული სწავლება. მასწავლებლები ახორციელებენ საერთაშორისო პროექტებს eTwinnig-ის პროგრამაში, მიღებული აქვთ სერთიფიკატები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

**I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი**

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1**<br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება**

| | | |
|---|---|---|
| | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| **მოსწავლეთა რაოდენობა: 600** | ☒<br><br>ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება<br><br>☐ | |

**III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.**

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

**IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N....* | | ..... |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული<br>და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| ინდიკატორი .... | | ..... |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N....* | | ..... |
| | | |
| | | |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | ..... |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული<br>და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი N...* | | ..... |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |

*1* გარდა მეორე სტანდარტის ნაილზივი შესაბამისობისა.

| | | |
|---|---|---|
| | | |

| *სტანდარტი N2* | **სასკოლო კურიკულუმი**<br>**(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)** | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | ..... |
| | | |
| | | |

**VI. რჩევა**

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| *სტანდარტი N1* | **სკოლის ფილოსოფია** | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N 1.1.1.2* | სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს; | სკოლას მიეცა რჩევა მისიასა და ხედვაში გათვალისწინებული იყოს საზოგადოების, თემის სპეციფიკა, ის გამოწვევები და ღირებულებები, რაც მის კულტურას აყალიბებს. მთავარი საკვანძო ორინეტირები უკავშირდებოდეს სკოლის როლის გაცნობიერებას. ხედვა უნდა წარმოადგენს მისიის ნაბიჯ-ნაბიჯ რეალიზაციის გზას. |

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი N 1.2.1.4 | სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია; | სკოლას მიეცა რჩევა ერთწლიან სამოქმედო გეგმაში შეიტანოს გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N 3.4.1.1.* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური | სკოლას მიეცა რჩევა, შრომის უსაფრთხოების ნორმების დასაცავად, ხელშეკრულება გააფორმოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან. |

| | | |
|---|---|---|
| | უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებასა და პირველადი დახმარების აღმოჩენას | |
| | | |
| | | |
| ***სტანდარტი N4*** | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ***რჩევა*** |
| *ინდიკატორი N.N 4.1.2.2.* | სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; | სკოლას მიეცა რჩევა კანონმდებლობის შესაბამისად იხელმძღვანელოს მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანასთან დაკავშირებული დოკუმენტების წარმოებისას. კერძოდ, საფუძვლად არ გაითვალისწინოს პედ. საბჭოს ოქმი. |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| ***სტანდარტი N2*** | **სასკოლო კურიკულუმი**<br>**(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)** | ***რჩევა*** |
| ინდიკატორი N 2.1.2.2 | კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური | **საზოგადოებრივი კათედრის** წევრებმა სასურველია, სამივე საფეხურზე შეიმუშაონ ისეთი კურიკულუმები რომლებიც მაქსიმალურად იქნება |

| | | |
|---|---|---|
| | ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); | მორგებული მათი მოსწავლეების შესაძლებლობებს, უნარებს, მისწრაფებებს. გაითვალისწინონ ესგ-ის მოთხოვნები, კერძოდ გრძელვადიანი მიზნების განხორციელების აუცილებლობის მნიშვნელობა და შუალედური სასწავლო მიზნებთან (კომპლექსური დავალებები) მათი უშუალო კავშირი. ასევე, უმჯობესია, თუ უფრო მკაფიოდ იქნება წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების განხორციელებით, თუ რა პროდუქტებს შექმნიან მოსწავლეები და როგორ იქნება ამ პროდუქტის შექმნით მიღწეული გრძელვადიანი სასწავლო მიზანი. რესურსების გამოყენება და მათი მიზანშეწონილობა კომპლექსური დავალები განხორციელებისას. |

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი N 2.2.2.3 | შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; | სასურველია თუ სამივე საფეხურზე **უცხო ენის კათედრაზე** შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმას მოარგებენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. |
| ინდიკატორი N 2.3.1.3 | მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას; | სასურველია **სპორტის** მიმართულებით სამივ საფეხურზე ჩატარდეს სადიაგნოსტიკო კვლევა, ანალიზის საფუძველზე, საჭიროებიდან გამომდინარე, შეიმუშავონ გეგმა. |
| ინდიკატორი N 2.3.2.3 | შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები; | სასურველია, სამივე საფეხურზე გამოყენებულ იქნას სოციალური კვლევების მეთოდები |

| | | |
|---|---|---|
| | | ფართო სპექტრი, როგორიც არის ინტერვიუ, სატელეფონო ინტერვიუ, გამოკითხვა, ფოკუს ჯგუფი, არაფორმალური გასაუბრება, დაკვირვება და შემუშავდეს შესაბამისი ინსტრუმენტები მაგალითად, ინტერვიუს გაიდი, ჩანაწერები. |
| ინდიკატორი N 2.3.2.4 | შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით; | **ესთეტიკის კათედრაზე** სასურველია სამივე საფეხურზე გამოიკვეთოს, თუ რა საშუალებების გამოყენებით ხორციელდება ანალიზი და კონკრეტულად რომელი ფაქტორების იდენტიფიცირება ხდება. |

**VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორი 3.1.2.3. მითითებული იყო, როგორც „დასრულებული“ - ექსპერტებმა განიხილეს აღნიშნული ინდიკატორის მიხედვით სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (დანართები) და დაადგინეს შესაბამისობა მითითებული ინდიკატორის შესრულების შესახებ.

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

**1.** სკოლის ფილოსოფია

**1.1.** სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

**1.1.1.** სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას აქვს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისი სკოლის მისია და ხედვა, რომელიც ასახავს სკოლის ძირითად დანიშნულებას. იგი ორიენტირებულია სასკოლო გარემოს ფორმირებასა და განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს; სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ნამდვილად დაცულია სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული გარემო. სასკოლო პროექტებითა თუ არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობებით სკოლა თემში წარმოადგენს სოციო -კულტურულ სივრცეს. სკოლას მიეცა რჩევა მისიასა და ხედვაში გათვალისწინებული იყოს საზოგადოების, თემის სპეციფიკა, ის გამოწვევები და ღირებულებები, რაც მის კულტურას აყალიბებს. მთავარი საკვანძო ორიენტირები უკავშირდებოდეს სკოლის როლის გაცნობიერებას. ხედვა უნდა წარმოადგენდეს მისიის ნაბიჯ-ნაბიჯ რეალიზაციის გზას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლამ მისიისა და ხედვის შემუშავება დაიწყო მასწავლებელთა, დირექციის და ადმინისტრაციის ერთობლივ სამუშაო შეხვედრაზე, მისიისა და ხედვის დოკუმენტის შექმნის პროცესში აქტიურად მონაწილეობდა სკოლის თვითმმართველობა, რომელმაც სკოლის დირექციას მიაწოდა შეხედულებები დოკუმენტთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე სკოლის მიერ წარმოდგენილია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სადაც მკაფიოდაა გაწერილი სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და გაზიარებულობა მისიის, ხედვისა და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის ინფორმაციით, მისია და ხედვა, შემუშავების პროცესში გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ, ხდებოდა განხილვები კათედრის სხდომებზე, პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოზე. ინტერვიუს დროს დირექცია აღნიშნავდა, რომ მასწავლებლები და სასკოლო საზოგადოება გაეცნო მისიის პროექტს და ზეპირი უკუკავშირებითა და რეკომენდაციებით მიიღეს თანამონაწილეობა მისიის შემუშავებაში. მოსაზრებების გაცვლის პროცესი ასახვდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და მის მიერ გაზიარებულობას მისიის შემუშავების

პროცესში, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია და ხედვა საჯაროდაა ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის. გამოკრულია სკოლის ფოიეში, განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, დეკლარირებულია 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448 (15/09/2005) - "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის მისია, ხედვა;
- სკოლის ვებგვერდი;
- მიმდინარე სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება**

**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია ადგენს სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის N2 საჯარო სკოლის მმართველობითი პროცესის - მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა დაგანვითარების ძირითად ეტაპებს, განსაზღვრავს პროცესზე პასუხისმგებელ პირსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. ასევე განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური

ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს, რისთვისაც, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების წევრებს და უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მათ ჩართულობას, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის გაცნობით დადასტურდა, რომ იგი შესაბამისობაშია და გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან. სკოლას არ წარმოუდგენია გასული წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომლის საფუძველზედაც აიგო 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, მაგრამ წარმოგვიდგინა 2022 წლის 8 დეკემბრის N9 სამეურვეო საბჭოს ოქმი, სადაც ასახულია დეტალური ანგარიშები სკოლის ფინანსური საქმიანობის შესახებ და სკოლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. ანგარიშები გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ სკოლას შეუძლია საკუთარი საქმიანობის რეფლექსია, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა. ეს ჩანს ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, ვადები, პასუხიმგებელი პირები, თუმცა არ ჩანს გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიის დოკუმენტში იკვეთება, რომ სკოლა ფლობს საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, რათა სწორად დაიწყოს და დაასრულოს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის რევიზირების პროცესი. სკოლას მიეცა რჩევა ერთწლიან სამოქმედო გეგმაში შეიტანოს გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

*დასტურდება (მტკიცებულებები):*

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

- შვიდწლიანი სტრატეგული გეგმის შექმნის და მასში ცვლილებების შეტანის მეთოდოლოგია;
- სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 8 დეკემბრის ოქმი N9
- ინტერვიუ

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მონიტორინგის პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა; ასევე, შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილია სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების ორი ალტერნატიული გზა: ელექტრონულ სივრცეში, დრაივზე გაზიარებული საქაღალდის და მასში ვადების შესაბამისად ატვირთული

მასალების შემოწმება ან ანგარიშგების წარმოდგენის მეთოდით, როდესაც განსაზღვრულ ვადებში პასუხისმგებელი პირები წერილობით წარმოადგენენ შესრულების ანგარიშს, იმართება შეხვედრები და განხილვები.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2.სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიაში კარგად ჩანს, რომ სკოლას სიღრმისეულად აქვს გააზრებული სასკოლო პროცესებში მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების მნიშვნელობა. აგრეთვე ის, რომ სწორედ მონიტორინგის შედეგად მიღებულმა ინფორმაციამ შესაძლოა განაპირობოს საჭირო და დროული ცვლილებების შეტანა გეგმაში. თუმცა ამ ეტაპზე სკოლას არ წარმოუდგენია მტკიცებულებები სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგის განხორციელებისა, მეთოდოლოგიაში მოცემულმა სურათმა დაგვიტოვა განცდა, რომ მიმდინარე სასწავლო წლიდან სკოლა მოახდენს მონიტორიგისა და შეფასების პროცესისა და შედეგების დოკუმენტირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები ამ ეტაპზე ვერ იქნება საჯარო, რადგან სკოლა ავტორიზაციის პროცესში მონაწილეობს, როგორც ახალდაფუძნებული დაწესებულება, თუმცა სკოლის ვებგვერდზე უკვე გასაჯაროვებულია ყველა სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც დაინტერესებულ პირებს აწვდის სკოლის ძირითადი მმართველობითი და დამხმარე პროცესების შესახებ დეტალურ ინფორმაციას. და ამდენად, სამომავლოდ სკოლა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმისა და გასული წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის გამოქვეყნებას სკოლის ვებგვერდზე; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4.სკოლასთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშის მნიშვნელობა სწორად აქვთ გააზრებული. მათი თქმით, ეს არის ერთგვარი პრევენციული ღონისძიება. ყველა ის პრობლემა, რაც აღიწერება ანგარიშში, გათვალისწინებულ იქნეს მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს სკოლა გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შექმნის, მისი შესრულების მონიტორინგისა და შეფასების, მასში ცვლილებების შეტანის მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის სტრუქტურა გრაფიკული გამოსახულების სახით, რომელიც მიხედვითაც მოიცავს შემდეგ ერთეულებს: სამეურვეო საბჭოს, დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, დისციპლინურ კომიტეტს, საგნობრივი ჯგუფის კათედრებს და მოსწავლეთა თვითმმართველობას, ხარისხის მართვის ჯგუფი. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი სკოლის დოკუმენტი( თანამდებობრივი ინსტრუქციები), რომელიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან დეტალებს, როგორიცაა: სამუშაოს იდენტიფიცირება და მოკლე აღწერა, ფუნქციები და პასუხისმგებლობები, უფლებამოსილებები, სამუშაო პირობები, ანგარიშგება და შესრულების შეფასება.
სკოლის დირექცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და ბუღალტერისგან.
**ადმინისტრაციაში** შედის - საქმისმწარმოებელი, მატერიალურ- ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, 3 დამლაგებელი, 2 დარაჯი, 1 ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტი-ასისტენტი)
**პედაგოგიური პერსონალი შედგება** - 33 მასწავლებლისაგან; 23 უფროსი, 7 წამყვანი, 1 მენტორი და ასევე 2 სპეციალური მასწავლებელი. 2 მოწვეული მასწავლებელი

სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა: ქართული ენისა და ლიტერატურის,მათემატიკისა და ტექნოლოგიების, უცხოური ენების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ესთეტიკური აღზრდის, დაწყებითი საფეხურის და სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის. კათედრის სხდომა ფორმდება კათედრის სხდომის ოქმით. სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის ოქმები, შესაბამის ვადებში და შესაბამისი დღის წესრიგით.
**სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა.** სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, სადაც გაწერილია თვითმმართველობის ფუნქცია-მოვალეობები, მისი არჩევის წესი. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით სკოლა ჩაერთო ნიკო კეცხოველის საკოლო პროექტში. ამჟამად თვითმმართველობის წევრები მუშაობენ პროექტზე მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასთან დაკავშირებით. მათი ინიციატივითა და ორგანიზებით ეწყობა სპორტული ტურნირები რაიონის მასშტაბით.
კანონმდებლობის სრული დაცვით , სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი და მრჩეველთა საბჭო.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს სკოლის ყველა თანამშრომელი, რომელთა მოვალეობანი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და შინაგანაწესით, გაფორმებული ხელშეკრულებებით. სკოლას აქვს დირექტორის 2023 წლის 24 ოქტომბრის N 2-46 ბრძანებით განსაზღვრული თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი

სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები რეგულირდება, სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტით, სკოლის წესდებით. სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სკოლის საგანმანათლებლო, ფინანსური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ. დირექტორი ადგენს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავს მათი განვითარებისთვის საჭირო სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოფს მათ გეგმაზომიერად განხორციელებას, ზედამხედველობას უწევს კათედრების მუშაობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სტრუქტურა
- შინაგანაწესი.
- სკოლის წესდება
- თვითმართველობის დებულება.
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- კათედრების ოქმები
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები
- ინტერვიუ

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს და სტრატეგიას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებს, ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და დასკვნით დებულებებს.
სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები ასევე წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.
შინაგანაწესით განსაზღვრულია: ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო ბ) დასვენების ხანგრძლივობა; გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი; დ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ვ) შრომის პირობების დაცვის წესები; ზ) წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; თ) მატერიალური პასუხისმგებლობა; ი) განცხადების/ საჩივრის განხილვის წესი; კ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; ლ) სკოლაში ჩაცმულობის წესი.

სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. დირექტორი ბრძანებით (28.10.2020 წლის N2-73*) შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომლის მიზანია:

ა) სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა; გ) მასწავლებელთა შიდა შეფასება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან; დ) მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.

ხარისხის ჯგუფს ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი. იგი ესწრება გაკვეთილებს, ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიონალიზმის ამაღლებაზე, ადგენს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავს მათი განვითარებისთვის საჭირო სამუშაო შეხვედრებს.

ჯგუფის წევრები ეხმარებიან კოლეგებს პროფესიული საჭიროებების განსაზღვრაში, პროფესიული განვითარების აქტივობების შემუშვებასა და განხორციელებაში. სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის პორტფოლიოები, სადაც არის გაკვეთილებზე დასწრების მასალები შესაბამისი უკუკავშირებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის ერთ-ერთი ამოცანაა კვალიფიციური კადრების მოზიდვა. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით (N2-117) დამტკიცებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი.

2023 წლის სექტემბერში სკოლას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი გერმანული ენის მასწავლებლის ვაკანტური ადგილის შესავსებად. სკოლას მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად შემუშავებული აქვს კონკურსის ჩატარების წესი. წარმოდგენილი აქვს ასევე, კონკურსის ჩატარების მიზნით, საკონკურსო კომისიის შესახებ 29.08.2013 წლის N2-51 ბრძანება, კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების ვადების შესახებ ბრძანება და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობას. სკოლა სრულად იცავს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის

დამტკიცებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებს. სკოლის ინფორმაციით გამოცხადებული ვაკანსიის დროს პრიორიტეტი ენიჭება იმ კანდიდატებს, რომლებიც მუდმივად ზრუნავენ პროფესიული განვითარებისთვის. პირად საქმეებში არ იყო წარმოდგენილი უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები. (2020 წლის 23 ივლისი საქართველოს მთავრობის №463 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დაწესებულებები ვალდებული არიან, პირს დაწესებულებაში დასაქმებამდე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად, მოსთხოვონ სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება ინფორმაცია, მათ შორის, მოხსნილი ან/და გაქარწყლებული ნასამართლობის შესახებ, ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნეს უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა).

**სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის 463-ე დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებული სქესობრივი დანაშაულისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ მასწავლებელთა ცნობები, რომლის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. როგორც გაირკვა, სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ დაკავებულ თანამდებობებს. სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადასტურდა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელს მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი და შრომითი ხელშეკრულებებიც სტატუსების შესაბამისად არის გაფორმებული, მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს. მასწავლებლების კვალიფაკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, ასევე შესაბამისობაშია დაკავებულ პოზიციასთან ექიმის - კვალიფიკაცია (სახელმწიფო საექიმო სერტიფიკატი სპეციალობაში პედიატრია). სკოლას არ ჰყავს მაძიებელი მასწავლებელი და ჰყავს 1 მოწვეული მასწავლებელი. 2023 წლის 15 სექტემბერს მიღებული ჰყავს სპორტის მასწავლებელი, რომელსაც ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა. სტატუსის მინიჭების პროცედურებისას მასწავლებელთა სახლმა მოითხოვა უმაღლესი განათლების დიპლომის ნამდვილობის დადასტურება, ამ მიზნით შესაბამისი დოკუმენტი სკოლას გაგზავნილი აქვს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლის განმარტებით, სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არის ობიექტური, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას ადასტურებს სკოლაში მოქმედი კოლეგიური ორგანოს პედაგოგიური საბჭოს და კათედრების მუშაობა. კათედრის დებულებით განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, მათ შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. აქტიურია კათედრებს შორის თანამშრომლობა, რასაც მოწმობს ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილები და განხორციელებული პროექტები, რომლებიც მრავლადაა გამოფენილი სკოლის შენობაში.
სკოლას წარმოდგენილი აქვს ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები, რეფლექსიები (ინტეგრირებული გაკვეთილი მულტიდისციპლინური მიდგომის გათვალისწინებით) და ხარისხის ჯგუფის უკუკავშირი ინტეგრირებული გაკვეთილების შესახებ.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე მათი მიღწევების წახალისების გზით, რაც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში (მე-10 მუხლი). სკოლის დირექტორის აღიარებითა და წარდგინებით მენტორის სტატუსი მოიპოვა ქათული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა. სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. სკოლაში არსებობს ასეთი პრაქტიკის არაერთი მაგალითი.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

- შინაგანაწესი
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების შექმნის ბრძანება N2-73*
- ბრძანება სპეციალური მასწავლებლის ვაკანტური ადგილების შესავსებად ღია კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ. 28.09.2018წ. N 2-140
- ბრძანება შტატზე ვაკანტური ადგილის შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ.( 30. 04. 2019 წ. N2-28)
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები, რეფლექსიები და ხარისხის ჯგუფის უკუკავშირი ინტეგრირებული გაკვეთილების შესახებ.
- ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით (2020 წლის 28. 10. N2-73*) შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება / შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. ჯგუფის წევრები ეხმარებიან კოლეგებს პროფესიული საჭიროებების განსაზღვრაში, პროფესიული განვითარების აქტივობების შემუშვებასა და განხორციელებაში.სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის პორტფოლიოები, სადაც არის გაკვეთილებზე დასწრების მასალები შესაბამისი უკუკავშირებით. სკოლას აქვს შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც გაწერილია, რომ სკოლა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით, ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას. სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს ანალიზის საფუძველზე . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების მიზანია: ა) სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა;

გ) მასწავლებელთა შიდა შეფასება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან; დ) მასწავლებლის საქმიანობაზე, (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრის პორტფოლიოებით, სადაც არის გაკვეთილებზე დასწრების მასალები შესაბამისი უკუკავშირებით. სკოლას სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს ტრენინგებისა და სემინარების დაგეგმვა (ინოვაციური სტრატეგიები/ მეთოდები; სწავლების პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება). ტრენინგ- სემინარებზე მიღებული ცოდნის კონსულტირება და პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა. საჭიროების შემთხვევაში სკოლის ბუღალტერი და ექიმიც ესწრებიან ტრენინგებს, რასაც ხშირად სკოლა საკუთარი ბიუჯეტით აფინანსებს **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3.** სკოლა ხელს უწყობს სკოლაში დასაქმებული პირების კარიერულ ზრდას. ახდენს ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას, ხელს უწყობს პედაგოგებს გაიარონ ტრენინგები და აიმაღლონ კვალიფიკაცია და სტატუსი. მასწავლებლის კარიერულ წინსვლას არეგულირებს "მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა" დირექცია უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული საგნობრივი ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და მონაწილეობის ხელშეწყობას. ასევე სკოლის ბუღალტერი და ექიმიც ესწრებიან ტრენინგებს. პერსონალთა პირად საქმეში წარმოდგენილია სერტიფიკატები. ყველა კათედრას აქვს teams-ის პლატფორმაზე შექმნილი ჯგუფი, სადაც გამოვლენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად იგეგმება აქტივობები და ვებინარები.სკოლაში მუშაობს „კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი, სკოლა ახორციელებს პედაგოგიური პრაქტიკის კვლევებს, რომლებიც ატვირთულია სკოლის ბლოგზე.სკოლის პედაგოგები, თუ სხვა პერსონალი აქტიურად მინაწილეობენ სხვადასხვა პროგრამისა თუ პროექტის ფარგლებში ტრენინგებში, შეხვედრებსა თუ ფოკუს-ჯგუფების სამუშაო პროცესში. აღნიშნული პროცესი სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან წახალისებული და მხარდაჭერილია. დასტურდება სკოლის მასწავლებლების მონაწილეობით USAID -ის "ლიდერი მასწავლებლების საბაზისო განვითარების პროგრამაში", დაწყებითი კლასების, ინგლისური ენისა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ჩართული არიან eTwinnig-ის პროექტში, მოპოვებული აქვთ ევროპული ხარისხის ნიშანი, რაც დასტურდება სერტიფიკატებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4.** სკოლას დირექტორის 10.10.23 წ. ბრძანებით (N2-98) დამტკიცებული აქვს პერსონალის ადაპტაციის წესი, სადაც გაწერილია ადაპტაციის პროცესი და პროცედურები. სკოლა ყველანაირად ცდილობს, რომ სკოლაში შექმნას გახსნილი თანამშრომლობაზე აგებული გარემო და ამ გარემოში ადვილად მოხდეს მასწავლებელთა ინტეგრაცია. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების ერთ -ერთი მიზანია სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება, რაც

დასტურდება თანამშრომლებთან გასაუბრებით. სკოლაში ყველა თანამშრომელს თანაბარი შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სკოლის რესურსით. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (24.08.2023 წ. ბრძანება N2-44) და დებულება; სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი(10 ოქტომბერი, 2023 წ. ბრძანება N 2-96) რაც აძლევს სკოლას საშუალებას, აქტიურად მიეწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია, როგორც პროფესიული განვითარების შესაძლებლობის, ისე სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. სკოლაში წახალისებულია არაფორმალური ურთიერთობების ინიციატივები, რაც თავის მხრივ ამტკიცებს თანამშრომელთა ჯანსაღ, კოლეგიალურ პარტნიორობას ფორმალურ საქმიანობაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. ყველა ინიციატივა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სკოლის პერსონალს განვითარდეს, წახალისებულია სკოლის მიერ. წახალისების ფორმები გაწერილია შინაგანაწესში (მე-10 მუხლი). სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევით, დაკვირვების შედეგად ან ზეპირსიტყვიერად პერსონალის მხრიდან. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების და წახლისების მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების შექმნის ბრძანება N2-73*;
- შინაგანაწესი;

- დამრიგებლის პორტფოლიო;
- ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი;
- სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი და დებულება
- ზეპირი ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. დოკუმენტის შექმნის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს უწყვეტ ციკლს, რომელიც გულისხმობს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას და მის შედეგებზე დაკვირვებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში: შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში და ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესი,

კურიკულუმის შემუშავება, მეთოდოლოგიურად აღწერილია კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შინაგანაწესით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანება მოიცავს გასაჩივრების პუნქტს, მაგრამ ეს წესი ზოგადია და არ აკონკრეტებს მექანიზმებს და პროცედურებს, ამიტომ სკოლამ შეიმუშავა და 2023 წლის 10 ოქტომბრის N2-101 ბრძანებით დაამტკიცა განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი და საჩივრის ფორმა. რომელიც განსაზღვრავს სკოლაში წარდგენილი განცხადების/საჩივრის დარეგისტრირების, განხილვისა და შედეგის დადგენის პროცედურებს. განცხადების/საჩივრის შემოტანა შეუძლია მოსწავლეს, მშობელს, სკოლაში დასაქმებულ პერსონალს ან/და სხვა დაინტერესებულ პირს. დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი პროცესის საფეხურები და წარმოების ვადები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლას აქვს ბრძანებით (N 2-97) დამტკიცებული სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის N2 საჯარო სკოლის მოსწავლის , მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი. სკოლამ წარმოადგინა სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები, შინაგანაწესის რამდენიმე მუხლში გვხვდება მშობლის ინფორმირებულობის ვალდებულება. სკოლას შემუშვებული და დამტკიცებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება( კომუნიკაციის სტრატეგია) 2023 წლის 10 ოქტომბრის N 2-102 ბრძანება, რომელშიც მკაფიოდ არის გაწერილი მხარეთა უფლება მოვალეობები, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი
- გასაჩივრების მექანიზმები
- დირექტორის ბრძანება
- შინაგანაწესი
- 2023 წლის 10 ოქტომბრის N2-101 ბრძანება განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესისა და საჩივრის ფორმის შესახებ.
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება

- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლთან გაფორმებული ხელშეკრულება
- ინტერვიუ

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და სასკოლო საზოგადოებისაგან უკუკავშირის მიღება ხდება მშობლებთან დირექციის შეხვედრებზე, მშობლებთან პერიოდული გასაუბრებით. მშობელთან ურთიერთობის დებულების შესაბამისად სკოლა ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია მშობელს/წარმომადგენელს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ; ასევე დებულება ითვალისწინებს მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრის, ელექტრონული ფოსტის, სატელეფონო ზარის ან წერილობითი შეტყობინების გაგზავნას. ყოველი კვირის პარასკევი მშობლებთან შეხვედრის დღეა და მშობლებს შეუძლიათ დამრიგებელთან შეთანხმებით ჩანიშნონ შეხვედრა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ. სადმრიგებლო პროგრამაში გაწერილია დამრიგებლის მოვალეობები. მისი მოვალეობაა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააცნოს მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვა). ასევე რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევების, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია. გამოკვეთილი საჭიროებიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს საჭირო ღონისძიებებს. სკოლაში

თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საიფორმაციო დაფა, საიდანაც სასკოლო საზოგადოება ეცნობა სიახლეებს. სკოლას ამავე მიზნით აქვს სოციალური ქსელი და teams-ის პლატფორმაზე საგნობრივი ჯგუფები. სკოლას აქვს ვებგვერდი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული კოლეგიალურ ორგანოებში: სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო. მათი ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით და დასტურდება ოქმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები*

- სკოლის ვებ-გვერდი
- დამრიგებლის პორტფოლიო
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება
- თვითმმართველობის დებულება
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები
- პედსაბჭოს ოქმები
- ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური. შენობაში დამონტაჟებულია 12 ვიდეო-სათვალთვალო კამერა, მათ შორის 3 გარე და 9 შიდა ხედვის კამერა. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს 2 დარაჯი. დარაჯი ვალდებულია დღის მანძილზე გააკონტროლოს მოსწავლეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების პროცესი. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. სკოლას შემუშავებული აქვს მორიგეობის ცხრილი. დასტურდება მრჩეველთა საბჭოს ოქმით N3 28.04. 2023. სკოლა თვლის , რომ აუცილებელია მორიგე პირის ყოფნა დერეფანში და სახანძრო სტენდებთან დამატებითი კონტროლი.

დერეფნებში არის ცეცხლმაქრები (სულ 7 ერთეული) დამუხტულ მდგომარეობაში. ყველა სართულზე, კედელზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეესაბამება შენობის აზომვით ნახაზს და მასზე მითითებულია საევაკუაციო გასასვლელი. ყველა სართულზე განთავსებულია სახანძრო სტენდი (სულ 3 ერთეული). სახანძრო სტენდი არ არის დაცული.

სკოლამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა N1062 (16.12.2022 წ.) რომლშიაც წარმოდგენილია შესასრულებელ ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომელთა შესრულებაც სკოლამ უნდა უზრუნველყოს კონკრეტულ ვადებში.

სკოლა რეაბილიტირებულია ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ, სკოლას აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად , შ.პ.ს. „სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრიას“ ანგარიში სკოლის შენობის სტრუქტურული მდგომარეობის შეფასების შესახებ. სკოლას ასევე აქვს საგანგებო მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი, შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ ექიმს. ექიმი აწარმოებს სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტების ჟურნალს. გამოყოფილია სამედიცინო ტახტი ხელოვნური ბარიერის საშუალებით. სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობის დაცვით შექმნილი უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო. სკოლა მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდის სსიპ -„112“ -ის ცხელი ხაზის ნომრის და აღნიშნული უწყების ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სკოლას მიეცა რჩევა, შრომის უსაფრთხოების ნორმების დასაცავად, ხელშეკრულება გააფორმოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები, მანდატურის მიერ შედგენილ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადები და პირობები. სკოლას შემუშავებული აქვს მორიგეობის განრიგი, რომელიც გაკრულია სკოლის დერეფანში (ყველა სართულზე) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლას აქვს ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლეთა უსაფრთხო ფსიქო-ემოციური სასწავლო გარემოს ორგანიზების სამუშაო რეკომენდაციები (ბრძანება N 2-106 ) სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, თუმცა სკოლის სადამრიგებლო პროგრამით წარმოდგენილია კლასის საათის თემები, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. დამრიგებლის

პორტფოლიოში ერთ-ერთი მიმართულებაა ფსიქოლოგიური დაკვირვების დღიურის შექმნა, რომლის მიზანია; ერთობლივი მუშაობის დაგეგმვა სხვა საგნების მასწავლებლებთან. თითოეული მოსწავლის ყოველმხრივი შესწავლა: მათი ინტერესების, მოთხოვნილებების და მიდრეკილებების გამოვლენა,ინფორმაციის შეგროვება და ჩანაწერების გაკეთება. ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს მიზნით სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები.( „არა ნაადრევ ქორწინებას“, „მოსწავლის პიროვნული განვითარება და სკოლის ფილოსოფია“, „მე ვარ სამყაროს მომავალი ჩემი უფლებებით,“ „არა ბულინგს!“, „ბავშვთა უფლებები და მოსწავლეთა პიროვნული განვითარება“, გენდერი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში“ ატვირთულია სკოლის სოც. ქსელის გვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს სანიტარულ ჰიგიენურ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირი, აქვს სანიტარული კვანძის დასუფთავების წესი. (ბრძანება N 2-51. 01.09.2020 წ.) სანიტარული ნორმების დაცვას უზრუნველყოფს 3 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას.სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ ოთახში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით.საჭირო რესურსით აღჭურვას უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი (ბრძანება N 2-72. 16 სექტემბერი, 2023 წ.) დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები და უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. (საქმისმწარმოებელი). სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლების და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობები პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.სადაც მეორე მხარე აცხადებს თანხმობას,რომ მისი პერსონალური მონაცემები სკოლის მიერ დამუშავდეს და გამოყენებულ იქნას საჭიროებისამებრ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში. ხელმოწერით აცხადებს თანხმობას სასკოლო აქტივობისას განახორციელოს მისი ფოტო-ვიდეო გადაღება, აუდიო ჩაწერა, ამ გზით მოპოვებული ინფორმაცია დაამუშაოს და გამოიყენოს საჭიროებისამებრ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.პერსონალურ მონაცემთა დაცვა განპირობებულია სკოლაში მოქმედი ელექტრონული სისტემების მეშვეობით, როგორიცაა: ელექტრონული ჟურნალი, სადაც გარანტირებულია მოსწავლის მონაცემების დაცვა. ჟურნალის მეშვეობით მუშავდება მოსწავლეთა მონაცემები, კერძოდ: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, შეფასება, დასწრება, საგნის ჯგუფები და განრიგი. ელექტრონული ჟურნალი არის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციოს სიტემის ორგანიზებით შექმნილი პლატფორმა, სადაც ელექტრონულად აღირიცხება მოსწავლეთა დასწრებები და შეფასებები. სწავლების პროცესში, ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, მოადგილეს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს , საქმისმწარმოებელს და საინფორმაციო მენეჯერს. მანდატურის სამსახური მთლიანად უზრუნველყოფს მონაცემების დაცვას ვიდეო თვალთვალის განხორციელებისას სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა თანამშრომლობს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურთან;

ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებული ჩანაწერები 30 დღის განმავლობაში ინახება სათანადოდ დაცულ ადგილზე საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურთან და ჩანაწერის მიღება დასაბუთებული მოთხოვნით შეუძლია სკოლის დირექციას, დისციპლინურ კომიტეტს, მრჩეველთა საბჭოს. ასევე, სამართალდამცავ ორგანოებს – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კანონიერ წარმომადგენელს საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ადგილზე გაეცნოს სხვისი პერსონალური მონაცემების დაცვით.

ასევე ხდება მონაცემების დაცვა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი მართვის მიზნით, სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოებას. პირადი საქმე ინახება სკოლაში დაცულ ადგილას. პირადი საქმის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებლს, დირექტორის მოადგილეს და შესაბამისი კლასის დამრიგებელს (მხოლოდ მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა პირად საქმეებზე). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7.სკოლაში აქტიურად მუშაობს მრჩეველთა საბჭო. მრჩეველთა საბჭო სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის

ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით . მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. სკოლა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასებისთვის აქტიურად იყენებს მის მიერ წინასწარ განსაზღვრულ შეფასების ფორმას, სადაც გათვალისწინებული აქვს შეფასების შედეგების მიხედვით გასატარებელი ღონისძიებები.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც დასტურდება მრჩეველთა საბჭოს ოქმით N3 28.04.2023. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დადასტურება (მტკიცებულებები):

- მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობები პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის სახანძრო -საგანგაშო სისტემის პროექტი, რომელიც მოამზადა შ/პ/ს/ „უსაფრთხოებამ“.
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი N3
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

*ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერით სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ვანის N 2 საჯარო სკოლა მდებარეობს ქალაქ ვანში 26 მაისის ქუჩა N3 , განთავსებულ შენობაში. დაზუსტებული ფართობია 2976.00 კვ.მ. სკოლის შენობა, შესაბამისი მიწის ფართით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. შენობა ოთხსართულიანია. სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში მიმდინარეობს. ამ ეტაპისთვის E-school-ის მონაცემებით სკოლაში სწავლობს 465 მოსწავლე. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის და საფეხურის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფითა და კარადით. კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კომისიის მიერ ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების შესაძენად საჭირო თანხა. სკოლას აქვს მომავლის კლასი კომპიუტერული ლაბორატორიისთვის. ამჟამად სკოლას აქვს 29 ლეპტოპი და 12 პერსონალური კომპიუტერი, 4 პრინტერი და 9 პროექტორი. არის სივრცე და შესაბამისი ტექნიკა კინოჩვენებისთვის და სასკოლო ფეიბუკ ტელევიზია უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკით, უსადენო მიკროფონები, სიგნალის მიმღები აპარატურა, რომელიც სკოლას გადაეცა ვანი- ბაღდათის ეპარქიასთან არსებული საკვირაო სკოლის სპონსორობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის შენობა რეაბილიტირებულია. საკლასო ოთახები აღჭურვილია საჭირო რაოდენობის მერხებით, დაფებით. საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი განათება. სკოლაში არის ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს სასკოლო სახელმძღვანელოებს, მხატვრულ, შემეცნებით, სამეცნიერო, ლიტერატურას. ასევე საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც არის ულტრათანამედროვე ინფრასტრუქტურითა და მატერიალური ბაზით, სადაც დამონტაჟებულია გამწოვი, აქვს ბუნებრივი განათება და ვენტილაცია. ლაბორატორია აღჭურვილია საბუნებისმეტყველო საგნების – ქიმია, ფიზიკა ბიოლოგია- ლაბორატორიის კომპლექტით. მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ ჩაატარონ სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ცდები. ლაბორატორიაში არის ხელსაბანი და ყველა საჭირო ინვენტარი. კომპიუტერული ლაბორატორიაში არის 25 კომპიუტერი. ოთახები აღჭურვილია მონიტორებით, დაწყებითი საფეხურის ყველა დამრიგებელს აქვს პერსონალური კომპიუტერი, რომლებიც ჩართულია ინტერნეტქსელში. მასწავლებლები იყენებენ პროექტორებს. სკოლაში არის სამედიცინო კაბინეტი , სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლისათვის ინკლუზიურ გარემოს. სკოლას აქვს მატერიალური რესურსებით აღჭურვილი რესურსოთახი. სკოლის პირველი სართული და შესასვლელი ადაპტირებულია. შენობაში არის ადაპტირებილი სველი წერტილი **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლას მნიშვნელოვნად მიაჩნია მოსწავლეებისათვის სკოლაში იყოს სოციალიზაციისათვის შესაფერისი გარემო და ინფრასტრუტურა, რომელიც მოემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში სოციალიზაციას

ხელს უწყობს დერეფნისა და საკლასო ოთახების კედლებზე გამოკრული მოსწავლეთა ნამუშევრები, საკლასო/სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები და მოსწავლეების ხელით შექმნილი სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები. სპორტული შეჯიბრებებისა და პრეზენტაციებისათვის სკოლა იყენებს ღია სპორტულ მოედანს და სპორტულ დარბაზს და სააქტო დარბაზს. ღონისძიებები ასახულია სკოლის ბლოგზე და სოციალურ ქსელ facebook-ის გვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მატერიალური რესურსი აკმაყოფილებს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ბიბლიოთეკაში არის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები სასწავლო შემეცნებითი წიგნების/რუკების სახით. კომპიუტერული ლაბორატორიაში არის 25 კომპიუტერი. დაწყებითი საფეხურის ყველა დამრიგებელს აქვს პერსონალური კომპიუტერი, რომლებიც ჩართულია ინტერნეტქსელში. მასწავლებლები იყენებენ პროექტორებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ბიბლიოთეკის დებულება
- facebook -ის გვერდი
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.6.** საინფორმაციო რესურსები

**3.6.1.** სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს,რომელიც საშუალებას აძლევს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ჰქონდეთ ინფორმაცია მოსწავლეების გაცდენა/დასწრების, ნიშნების, კომენტარების, დავალებების, საბოლოო საშუალო ქულების, რეიტინგების, ნიშნების ფურცლისა და სხვა ტიპის რეპორტების შესახებ. სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნიკა. კომპიუტერები, პროექტორი, პრინტერები,რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლას აქვს ვებგვერდი,რომელიც ხელმისაწვდომია ყველასთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2.წარმოდგენილი კურიკულუმებით ჩანს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს. სკოლაში არსებულ ლეპტოპებს აქტიურად იყენებენ მოსწავლეებიც. სკოლაში მოსწავლეებისა და პერსონალის მხრივ გამოიყენება პროექტორები - პრეზენტაციის, ფილმებისა და სლაიდშოუს ჩვენებისას. სკოლას აქვს ციფრული განვითარების გეგმა, ტექნიკაზე პასუხისმგებელია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმები
- მატერიალური და არამატერიალური რესურსების განკარგვის წესი.
- ციფრული განვითარების გეგმა

### 3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები

რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით და სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის N2 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას eflow-ს. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანების ფორმა შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის 52-ე მუხლს. სკოლას აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ. საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგებაზე, აკონტროლებს მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებას, პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.(e-School.emis.ge), სრულად არის ასახული თანამშრომელთა, მშობელთა და მოსწავლეთა მონაცემები. სსსმ მოსწავლეების მონაცემები ასახულია და ატვირთულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნები და მიმაგრებულია სპეცმასწავლებელი. ასახულია მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. ვადების და პროცედურების დაცვით ხდება ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან. 2022 წლის 8 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმით დასტურდება სკოლის დირექტორის მიერ წლიური ანგარიშის წარდგენის ფაქტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საქმისწარმოების ერთიანი წესი

- სკოლის მიერ შედგენილი და დამტკიცებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N2 08/12/2022
- ვიზუალური დათვალიერება
- ინტერვიუ

### 3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც ტვირთავს აუცილებელ დოკუმენტაციას. სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალების გასავრცელებლად სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს, სოციალურ ქსელში შექმნილია სხვადასხვა დახურული ჯგუფები, რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია.სკოლას აქვს ბლოგიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას აქვს როგორც სამართლებრივი, ისე მორალური ვალდებულება გაავრცელოს მხოლოდ და მხოლოდ გადამოწმებული, სანდო და უტყუარი ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; შესაბამისად, ყველა ინფორმაცია, რაც მიეწოდება მოსწავლეთა მშობლებს, ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე ან/და სოციალური ქსელის ოფიციალურ კედელზე, შეთანხმებული, შეჯერებული და ნებადართულია სკოლის ადმინისტრაციის მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის და საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შექმნილია გამოკითხვის ელექტრონული ფორმა, რომელიც ანონიმურია და მიღებულ უკუკავშირზე დაყრდნობით ამოწმებს რამდენად ხარისხიანად მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი. დაწესებულია მშობელთა ვიზიტის დღე. მოსწავლეებს, მშობლებს, ადგილობრივ თემს შესაძლებლობა აქვს სკოლის განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების შესახებ ინიციატივები მიაწოდოს ხელმძღვანელობას. ინიციატივებს განიხილავს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლის დირექციასთან ერთად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლას აქვს ვებ გვერდი, სადაც განთავსებულია აუცილებელი ინფორმაცია. ფეისბუქ გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სკოლის მისიის, სამოქმედო გეგმის, სტრუქტურის და მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სოციალური ქსელი;
- სკოლის ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის დირექტორი თანხებს  განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე და კომუნალურ გადასახადებზე. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია საოფისე ხარჯები და მცირე სარემონტო სამუშაოების ჩატარების ხარჯები.  სკოლის ფინანსური რესურსის ძირითადი ნაწილი, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ N476 დადგენილების მიხედვით, უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რომლის მოცულობა განისაზღვრება სკოლის მოსწავლეთა რაოდენობით. გარდა ამისა, სამინისტრო უზრუნველყოფს სკოლის ექიმის ხელფასის პროგრამულ დაფინანსებას, აგრეთვე მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვის შესაბამისად დანამატების და ინკლუზიური განათლების

ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრულ დაფინანსებას, რომელიც, თავის მხრივ, სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლეების რაოდენობით განისაზღვრება. ზემოთ ხსენებული ფინანსური შემოსავლების გარდა, ეკონომიკური საქმიანობით (იჯარით გაცემული ფართები) სკოლა მოიპოვებს დამატებით შემოსავლებს, რაც საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად წარმართვასა და დამატებითი რესურსების მობილიზებაზე მიემართება; შესაბამისად, არსებული მდგომარეობით, სკოლას აქვს საკმარისი ფინანსური რესურსი დადგენილი წესის მიხედვით შეუფერხებლად წარმართოს სასწავლო პროცესი და უზრუნველყოს აუცილებელი ფინანსური ხარჯები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 8 დეკემბრის N9 სხდომის ოქმით დასტურდება, რომ სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. სკოლის დირექტორმა სამეურვეო საბჭოს წარუდგინა 2023 წლის სკოლის ბიუჯეტის პროექტი. ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს, როგორც სავარაუდო შემოსავლებს ასევე სკოლის საჭიროებისთვის განსაზღვრულ ხარჯებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სამეურვეო საბჭოს ოქმი N9
- საპროგნოზო ბიუჯეტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

#### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დაწესებულების პერსონალი მუშაობს მოსწავლეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია 2023-2024 წლის სასწავლო გეგმაში , 2023-2024 სასწავლო კურიკულუმში და შინაგანაწესში. სკოლის შინაგანაწესი , ცალკე მუხლებად გამოყოფს: მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი; მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები; მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი; სკოლის მიერ განხორციელებული მოსწავლეების მიერ სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის ქმედებები არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლის 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია სკოლის მოსწავლეთა

უფლებები და ვალდებულებები. კერძოდ, მოსწავლეს  უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი განათლება, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსებით. მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულება არეგულირებს, როგორც მშობლის, ასევე მოსწავლის უფლება-მოვალეობებს.  სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შემდეგი დოკუმენტაცია: სკოლის შინაგანაწესი; მოსწავლის ქცევის კოდექსი; გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა; სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში  მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. ასევე  მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ეხება შინაგანაწესის გაცნობას, რომელიც დასტურდება  ხელისმოწერით. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა ჩართულობით შეიმუშავებენ მოსწავლეთა ქცევის წესებს, რომელიც გამოკრულია საკლასო ოთახებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან / მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების თარიღს, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემებს, ხელშეკრულების საგანს, სკოლის საქმიანობას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენება, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავების გადაწყვეტა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა, დამატებითი პირობები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შინაგანაწესი
- მოსწავლესთნ/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- 2023/24 წლის სასწავლო გეგმა
- კურიკულუმი
- ვიზუალური დათვალიერება

- ინტერვიუ

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას აქვს ბრძანებით განსაზღვრული(N2-71. 19/09/2023 ) “ მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესი” მოსწავლეთა ჩარიცხვის დოკუმენტაციის გადამოწმებას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებლი მოსწავლის მობილობის შესახებ მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე იწყება საქმისწარმოება. კლასის დამრიგებლები ახორციელებენ მოსწავლეთა გაცდენების მონიტორინგს, 10 / 20 /45 დღე უწყვეტად გაცდენის შემთხვევაში დამრიგებლის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე მიმართავს დირექტორს სტატუსის შეჩერების

/შეწყვეტის შესახებ. სკოლას აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool.emis.ge -ს დათვალიერებით დგინდება,რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. სკოლას მიეცა რჩევა კანონმდებლობის შესაბამისად იხელმძღვანელოს მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანასთან დაკავშირებული დოკუმენტების წარმოებისას. კერძოდ, საფუძვლად არ გაითვალისწინოს პედ. საბჭოს ოქმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლა სთავაზობს მეოთხე კლასის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს არჩევანს მომავალი სასწავლო წლისთვის მეორე სავალდებულო უცხოური ენის ასარჩევად. ამ მიზნით მშობელთა კრებებზე ან სოციალურ ქსელებში დამრიგებლები ატარებენ გამოკითხვას. სკოლის მიერ იჯარით გაცემულ ფართზე ფუნქციონირებს სკოლის ბუფეტი. შესაბამისი დოკუმენტაცია წესრიგშია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სკოლასთან, არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. გავრცელებული ყველა ტიპის ინფორმაცია გადამოწმებულია. სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სოციალური ქსელი;
- E-school-ის ბაზა;
- სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის და მოსწავლეთა სტატუსის შეჩერების წესი.
- ვიზუალური დათვალიერება
- ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

#### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი (ბრძანება N2-98. 10/10/2023წ) სკოლა ხელს უწყობს ყველა მოსწავლეს ადაპტაციაში. დახმარება ხდება ყველა ახალი მოსწავლის, მაგალითად - პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლის მშობელს, სწავლის დაწყებამდე უკავშირდება კლასის დამრიგებელი და ეცნობა. საჭიროების შემთხვევაში, თუ ის სსსმ მოსწავლეა , აცნობს სპეციალურ მასწავლებელსაც, ასევე დირექციის დახმარებით ეცნობიან სკოლის გარემოს: საკლასო ოთახს, რესურს ოთახს, სკოლაში არსებულ სველ წერტილებს. სსსმ მოსწავლეების თანაკლასელების ინფორმირების მიზნით, ცნობიერების ასამაღლებლად ტარდება შეხვედრა, სადაც მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია განსხვავებული შესაძლებლობების ადამიანების შესახებ, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები მშობელს უწევენ კონსულტაციას მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. სკოლას თითოეულ სსსმ მოსწავლეზე შექმნილი აქვს ადაპტაციის წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას, აღჭურვილია ასაკის შესაბამისი ავეჯით, ასევე სკოლაში ფუნქციონირებს რესურს ოთახი, სადაც მოსწავლეებთან ტარდება ინდივიდუალური გაკვეთილები და ასევე გამოიყენება მათი განტვირთვის და დასვენების მიზნით. რესურს ოთახში სკოლა პერიოდულად აახლებს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ რესურსებს. სსსმ მოსწავლეებთან მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე მუშაობს სამი სპეციალური მასწავლებელი და ერთი ასისტენტი. ისინი საგნების მასწავლებლებსა და მშობელთან ერთად კოორდინირებულად მუშაობენ

მოსწავლეების აკადემიური, შემეცნებითი, ფუნქციური, სოციალური უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მხარდაჭერის მიზნით, სკოლის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, აკადემიური მიღწევის გასაუმჯობესებლად მიიღონ დამატებითი კონსულტაცია. სკოლის მასწავლებლები და დირექცია ჩართულები არიან ყველა იმ აქტივობაში, რაც დაკავშირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერასთან და საჭიროებისამებრ აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სწავლის უსაფრთხო პირობებით, მიიღოს ხარისხიანი განათლება, სასწავლო პროგრამისა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო ინფორმაცია/კონსულტაცია, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტითა და სხვა საშუალებებით. აღნიშნული პროცესები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით/ კურიკულუმით. მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს და საჭირო ინტერვენციას. სკოლაში სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და კოგნიტური უნარების გაუმჯობესების მხარდაჭერის მიზნით რესურს ოთახში სპეციალური მასწავლებელები წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა). სკოლაში კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროა. პედაგოგები თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, აანალიზებენ მონაცემებს და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ გაუმჯობესების გზებს. დაგეგმილი ღონისძიებები და პროექტები მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას უწყობს ხელს. სკოლა ბოლო 3 წელია ჩართულია პროექტში „შეფასება განვითარებისთვის“, IV და VI კლასის მოსწავლეებმა გაიარეს ტესტირება. მიღებულ შედეგებს სკოლა აანალიზებს და უგზავნის მშობლებს, ამასთან, შედეგების ანალიზი გამოიყენება ახალი სასწავლო პროცესის დაგეგმისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით სკოლა მხარს უჭერს დამატებითი/არაფორმალურ აქტივობებს და მოსწავლეთა ინიციატივებს. კერძოდ: სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც საკმაოდ აქტიურია. სკოლამ განახორციელა პროექტი „ წარმატებისა და ბედნიერების საიდუმლო“,

რომლის მიზანია ემოციური ინტელექტის განვითარება მოზარდებში. სკოლის მოსწავლეები ზედიზედ იმარჯვებენ სხვადასხვა ღონისძიებებსა და კონკურსებში. მოსწავლეთა ინიციატივების გასათვალისწინებლად სკოლა მიმართავს სხვადასხვა გზას, ხშირად მართავს შეხვედრას მოსწავლეებთან, ისმენს მათ ინიციატივებს, საჭიროებებს და ამის მიხედვით იგეგმება სხვადასხვა აქტივობა. სკოლაში განხორციელდა სასკოლო პროექტი „მე ვარ სამყაროს მომავალი ჩემი უფლებით". მოსწავლეები თანამშრომლობენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ფარგლებში. მოსწავლეთა ინიციატივით სოციალურ ქსელში შექმნილია სატელევიზიო გვერდი „ტაბიძე TV". თვითმმართველობაც და კლუბიც შექმნილია კანონმდებლობის დაცვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა დაინტერესებულია და მუდმივად ითვალისწინებს მოსწავლეთა შეხედულებებს. სურვილებს და ინტერესებს საჭიროებებს სხვადასხვა მომსახურეობების გაწევისას ატარებს როგორც ჯგუფურ ისე ინდივიდუალურ შეხვედრებს, რათა დაადგინოს როგორია მოსწავლეების დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი. სკოლა იყენებს ზეპირი გამოკითხვის ფორმებს მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსსმ მოსწავლის ადაპტაციის წესი.
- სკოლის ვებგვერდი
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- შინაგანაწესი
- განხორციელებული პროექტები
- თვითმმართველობის დებულება
- თვითმმართველობის facebook-გვერდი. „ტაბიძე TV"
- სადამრიგებლო პროგრამა

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლაში განხორციელდა სამოქალაქო განთლების მასწავლებლის მიერ პროექტი „ჩემი პროფესია“პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა კვლევა ჩაატარეს სასურველი პროფესიების შესახებ. შემდეგ ესტუმრნენ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს და ინტერვიუ აიღეს მათგან. გამოვლინდა „ტრენდული და არატრენდული“ პროფესიები. პროფორინეტაციაში მოსწავლეებს ეხმარებათ სხვადასხვა უნივერსიტეტი, რომლებიც მოსწავლეებს სთავაზობენ უამრავ არჩევანს, ასევე ეხმარებიან სასურველი პროფესიის აღმოჩენაში.მაგალითად გასულ სასწავლო წელს სკოლაში ჩატარდა შეხვედრა თავდაცვის სამინიტროს სამხედრო აკადემიის წარმომადგენლებთან. სკოლა მომავალი სასწავლო წლისთვის კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერისათვის გეგმავს სხვადასხვა პროექტების განხორციელებას , ამის მიზნით სკოლაში მოეწყობა როგორ პირისპირ ისე დისტანციური შეხვედრები, რომელთა თემები განისაზღვრება მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების შესაბამისად, იგეგმება შეხვედრები სხვადასხვა სექტორის პროფესიონალებთან, რათა მოხდეს სხვადასხვა პროფესიის პოპულარიზაცია.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზეც და დოკუმენტბრუნვის სისტემაში სკოლას შემოსდის ინფორმაცია, სიახლეები საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის ღია კარის დღეების ჩატარების შესახებ, სადაც სთავაზობენ კონკრეტულ პროგრამებზე / ლექციებზე დასწრებას. მიღებულ ინფორმაციას დირექცია აწვდის შესაბამისი კლასების დამრიგებლებს, რომლებიც, თავის მხრივ, აცნობენ

სადამრიგებლო კლასების მოსწავლეებსა და მშობლებს, ძირითადად სოციალური ქსელების დახმარებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.ადმინისტრაცია გეგმავს მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს უზრუნველყოს მოსწავლეებთან ფოკუს ჯგუფების ჩატარება, რომლის მიზანი იქნება პროფორიენტაციის კუთხით სკოლის გაძლიერება **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სოციალური ქსელი
- მემორანდუმი

### 4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული აქვს სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებული ფორმა - დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, გაკვეთილებზე დასწრებისა და რესურს ოთახში ინდივიდუალური მეცადინეობების გათვალისწინებით. ისგ იქმნება კონკრეტული სსსმ მოსწავლისათვის. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ქმნის ისგ ჯგუფი, რომელიც დამტკიცებული აქვს დირექტორის სასწავლო წლის დასაწყისშივე. ისგ-ს წევრია სსსმ მოსწავლის მშობელი. მისი ხელმოწერაა დაფიქსირებული ყველა ისგ-ს ოქმში. სკოლას ჰყავს 12 სსსმ მოსწავლე, 2 სპეციალური მასწავლებელი და 1 ასისტენტი. ყველა მოსწავლის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა ატვირთულია E-school-ის ბაზაში. რესურს ოთახის კარებთან გაკრულია სპეციალური მასწავლებლის მუშაობის განრიგი. სკოლას შემუშავებული აქვს ყოველწლიური ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის შესაბამისი აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. კერძოდ, სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია, მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის კონსულტაცია, ისგ ჯგუფების შექმნა, სხდომების დაგეგმვა და ორგანიზება, რესურს ოთახების მოწესრიგება და აღჭურვა შესაბამისი რესურსებით. თითოეული სსსმ მოსწავლისთვის სკოლას შექმნილი აქვს ადაპტაციის გეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. პედაგოგები თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, აანალიზებენ მონაცემებს და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ გაუმჯობესების გზებს. სამოქმედო გეგმით დასტურდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მასწავლებლების კონსულტირება სასწავლო პროცესში სსსმ მოსწავლის აქტიურ ჩართულობასთან დაკავშირებით, სასწავლო მასალის ადაპტირებასთან დაკავშირებით. სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხის გაზრდაზე ზრუნვენ დამრიგებლები, სხვადასხვა საგნის მასწავლებლები და მოსწავლეები. მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზებას და განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვას უზრუნველყოფს დამრიგებელი და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანაში მონაწილეობს სამეურვეო და პედაგოგიური საბჭო, (სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის დამტკიცებასთან/შეთანხმებასთან დაკავშირებით) ისგ ჯგუფი განიხილავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მიღწეულ შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობის შეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ისგ გეგმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსსმ მოსწავლის ადაპტაციის წესი
- ინტერვიუ

***4.2.4.*** **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში ფუნქციონირებს კვების ობიექტი, რომელისთვისაც ფართი საიჯარო ხელშეკრულებით არის გაცემული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა, კვების სერვისი და ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, რომელიც წინასწარ შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს, შესაბამისად სკოლაში ყველა სერვისი და მომსახურება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- იჯარის ხელშეკრულება
- სამეურვეო საბჭოს ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (დაწყებითი საფეხური)**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას შემუშავებული აქვს  კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებელობებს და პრიორიტეტებს. გასულ, 2022-2023 სასწავლო წელს ავტორიზაციის საკითხებთან დაკავშირებით ქოუჩებთან კონსულტაციის შედეგად პედაგოგეგბმა კათედრებზე შეიმუშავეს საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, რომლის განხორციელებაც დაიწყო მიმდინარე სასწავლო წლის 15 სექტემბრიდან. კათედრები გეგმავენ მუდმივად იზრუნონ კურიკულუმის ჩარჩოების დახვეწასა და გაუმჯობესებაზე. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები, რომელზე დაფუძნებითაც განხორციელებული სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რადგანაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობები. სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის განხორციელება ხდება სკოლის სხვადასხვა საინფორმაციო არხებით, როგორიცაა ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, ბეჭვდითი მასალები, პირისპირ და საჯარო შეხვედრები. კათედრის წევრები სასწავლო წლის ბოლოს ერთობლივად აანალიზებენ მთელი წლის განმავლობაში შეგროვებულ მონაცემებს, მოსწავლეთა შედეგებს განხორციელებული კომპლექსური დავალებებისა და პროექტების მიხედვით. ასევე განიხილავენ მშობელთა ჩართულობით განხორციელებულ აქტივობებს. ანალიზით ადგენენ მოსწავლეთა საჭიროებებს, შესაძლებლობებს, ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს და ასე შეიმუშავებენ მომავალი სასწავლო

წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ისინი სამომავლოდ გამოკითხვებითა და კვლევებით შეისწავლიან სასკოლო საზოგადოების - მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესებს. სიღრმისეულად დაადგენენ საჭიროებებსა და განსავითარებელ მხარეებს, რომელსაც ასახავენ საგნობრივ კურიკულუმებში. დაწყებითი კლასების პედაგოგებს კურიკულუმის მეთოდოლოგიის შემუშავების მთავარ გამოწვევად მიაჩნიათ შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, კომპლექსური დავალებების სასწავლო პროცესში აქტიურად გამოყენება და სასკოლო საზოგადოების მეტად ჩართვა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის საშუალებითა(რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია) და პედაგოგებთან ინტერვიუს გზით დგინდება, რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული და ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები და მოლოდინები. პედაგოგები გამოცდილებაზე დაყრდნობით სისტემატურად მუშაობენ კურიკულუმში შესატან ცვლილებებზე, რათა მოხდეს წინა წლის შედეგების გაუმჯობესება. მოსწავლეების ვერბალური გამოკითხვის გზით, პედაგოგები ადგენენ მათ ინტერესებს კომპლექსური დავალების ტიპებთან და განხორციელების ეტაპებთან დაკავშირებით. კურიკულუმზე მუშობის პროცესში დაწყებითი საფეხურის კათედრის წევრები საგნების შესაბამისად აანალიზებენ სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებულ სასწავლო პროცესებზე დაკვირვებების შედეგებსა და მიგნებებს, ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოებასთან, მშობლებთან კომუნიკაციის შედეგად მიღებულ უკუკავშირს, რაზე დაყრდნობითაც გამოკვეთეს სასკოლო საზოგადოების საერთო ინტერესები და ასახეს საგნობრივ კურიკულუმებში. მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და ასაკობრივი თავისებურებები. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საგნობრივი კურიკულუმები  სასკოლო საზოგადოების ინტერესებზეა ორიენტირებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. აღნიშნულ პროცესში  ჩართულია კათედრის თითოეული წევრი. კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების წარმოდგენილ დოკუმენტში, (რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია) გაწერილია მასწავლებლების, კათედრის თავჯდომარეების, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სასწავლო თემებზე მუშაობისას პედაგოგი

სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს მოსწავლეთა მშობლებს, იძიებს გზებს და ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო მეტად ჩართვისთვის. ასევე ინფორმაციის გაცვლა ხდება სხვა საგნობრივი კათედრების წევრებთან და სკოლის ადმინისტრაციასთნ. კურიკულუმში, მშობლებთან შეთანხმებით, განისაზღვრება მეორე უცხოური ენა, ხოლო არჩევითი საგნების შერჩევაში მონაწილეობენ თავად მოსწავლეები. მასწავლებლებს მშობლებთან აქტიური კომუნიკაცია ეხმარებათ მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების დაზუსტებაში, რასაც ასახავენ საგნობრივ კურიკულუმებში. ამის გათვალისწინებით სავალდებულო თემებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები და სამიზნე ცოდნაზე ორიენტირებული კონტექსტ მაგალითები, შედარების მაგალითები, მოსწავლეთა ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით შერჩეულია საინტერესო კომპლექსური დავალებები. სკოლაში დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს აქვთ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის უნარ-ჩვევები და მრავალფეროვანი პროდუქტების (პოსტერი, მაკეტი, დიორამა, კომიქსები და სხვა) შექმნის გამოცდილება. ამრიგად, კურიკულუმის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტისა და პედაგოგების ინტერვიუირების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის, ხდება კათედრათა შორის ინფორმაციის გაცვლა და თანამშრომლობა. უკუკავშირის მიღების მიზნით მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდება დაგეგმილი კომპლექსური დავალებებისა და შეფასების რუბრიკების შესახებ. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებული ვარიანტი სკოლაში განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე, ასევე გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე, რომელიც ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია. სკოლა მშობლებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად ასევე იყენებს მათთან პირისპირ შეხვედრებს ან/და სოციალურ ქსელებს. დამრიგებლების მიერ მშობელთა ინფორმირება ხდება მშობელთა კრებებზე. სადამრიგებლო საათზე კი მოსწავლეები ეცნობიან ინფორმაციას კურიკულუმის ძირითადი ნაწილების და კომპლექსური დავალებების შესახებ. მიმდინარე სასწავლო წლიდან სკოლა მეტად გააქტიურებს მოსწავლეებთან და მშობლებთან კომუნიკაციას, სკოლის ვებგვრდზე განათავსებს ყველა საჯარო დოკუმენტს, რაც გააუმჯობესებს მათ ხელმისაწვდომობას. აქედან გამომდინარე, სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- კითხვარი მოსწავლეებისთვის;
- საინფორმაციო დაფაზე გამოკრული დოკუმენტაცია.

**2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.წარმოდგენილი კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ის ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და ითვალისწინებს იმ ძირითად პრინციპს, რაც მასშია მოთხოვნილი - დაგეგმილი აქტივობებით და კომპლექსური დავალებებით აქცენტი კეთდება მოსწავლის ძლიერი მხარის წამოწევაზე, წინარე ცოდნის გააქტიურებაზე და მოტივაციის ამაღლებაზე. ასევე გათვალისწინებულია ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი. ის რომ მოსწავლე სწავლების პროცესში მთავარი სუბიექტია იკვეთება მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმეს სწორედ მოსწავლეთა შედეგების, ინტერესების გათვალისწინებით, შუალედურ სასწავლო მიზნებში ასახული შეფასების კრიტერიუმები და შესაქმნელი პროდუქტები მორგებულია მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, ყურადღება გამახვიებულია არა მხოლოდ ცოდნის შეძენაზე, არამედ საჭირო უნარების გამომუშავებასა და ცოდნის ტრანსფერზე  მაგალითად, სკოლაში ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს უცხოური ენის კლუბი „English reading club“, რომლის მიზანია ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლების ხელშეწყობა; აქტიური მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების განვითარება; მოსწავლეთა ინიციატივების პროექტების სახით განხორციელება; ინტელექტუალური, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე არსებობს გარკვეული ცოდნა და გამოცდილება, რაც პედაგოგებს დაეხმარათ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზის ამსახველი კურიკულუმების შემუშავებაში. აღნიშნული დასტურდება კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით. სავალდებულო თემებიდან გამომდინარე მთავარ საკითხებზე შემუშავებულია კომპლექსური დავალების იდეები, შესაბამისი კონტექსტ მაგალითებითა და სასწავლო რესურსებით. მაგალითად, მეორე კლასში თემაზე ,,წყალი” დაგეგმილია კომპლექსური დავალება ,,გამაფრთხილებელი სიმბოლოების შექმნა წლის  დაზოგვასა და  დაცვის შესახებ სახელწოდებით ,,გახდი  წყლის  მცველი“, განსაზღვრულია კონტექსტ მაგალითი ,,მდინარისა და მის ბინადართა გასაჭირი’’, შერჩეულია საინტერესო სასწავლო რესურსები. კათედრამ დაწყებით საფეხურზე ასევე წარმოადგინა I-IV კლასებისთვის განმავითარებელი და V-VI კლასებისთვის კი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.** კურიკულუმში სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია მიზნობრივი ორიენტირები. თემები, კონტექსტმაგალითები (ძირითადი და დამატებითი რესურსები). შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები ქმნის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების შესაძლებლობას ,ასევე მოითხოვს ფაქტების ანალიზს, იდეების გენერირებასა და ორგანიზებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, არგუმენტების შეფასებას. მოითხოვს პრობლემების გადაჭრას ,თავისუფლად აზროვნებასა და შემოქმედებითობას. განსაზღვრულია დავალებები ინდივიდუალური მუშაობისა და მცირე ჯგუფებში განხილვისთვის, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში საკომუნიკაციო და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება ხელს უწყობს

მოსწავლეების ხასიათის და პიროვნების ჩამოაყალიბებას.სახელმწიფო ენის კათედრას ჩატარებული აქვს კვლევა:,,როგორ შევუწყოთ ხელი სასწავლო პროცესში ფუნქციური უნარების განვითარებას(კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, მოქალაქეობა)", რომლის განხორციელებისას მხოლოდ ფოკუსირებული დაკვირვების მეთოდი აქვთ გამოყენებული, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებითა და უკუკავშირით გამოკვეთენ პრობლემებს, თუმცა სასურველია ,კვლევის სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენება, დიაგნოსტირება უფრო ზუსტად დაადგენს პრობლემებს, პრობლემის გადასაჭრელად კი კომპლექსური მიდგომებით (ინტერვენციების განხორციელებით)უკეთესად შეძლებს კათედრა შედეგზე გასვლას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3.**სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების ხედვა, ინდივიდუალური მიდგომები, ყოველი მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და მოტივაციის გზები, წინარე ცოდნის გათვალისიწინება და მასზე ახალი მასალის დაფუძნების გზები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით სასწავლო პროცესში იკითხება დიფერენცირებული მიდგომები: გარემო, პროცესი, შინაარსი, პროდუქტი. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით პედაგოგის მიერ შემუშავებული კომპლექსური დავალებების პირობით მოსწავლეებს ეძლევათ კომპლექსურ დავალებებში ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას სხვადასხვა არჩევანის შესაძლებლობა, ასევე საბოლოო პროდუქტიც შეუძლიათ წარმოადგინონ მრავალფეროვანი სახით: (ნახატი, ილუსტრაცია, პრეზენტაცია, რუკა, პოსტერი, საინფორმაციო ბუკლეტი და ა.შ.). სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასევე მოცემულია სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავების მექანიზმები და ადგილზე ვიზიტისას დადგინდა ,რომ მათ აქვთ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის კარგი პრაქტიკა, ჰყავს სპეც. მასწავლებელი და ასისტენტი. პედაგოგებს აქვთ სასწავლო გეგმის მოდიფიცირების მზაობა. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი, რომელიც კარგადაა აღჭურვილი საჭირო რესურსებით. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის.ეს ყველაფერი კი უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა- სწავლების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4** კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებისთვის შემუშავებულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. გაკვეთილის მიმდინარეობისას განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ისტრუმენტები (ცნების რუკები, გასასვლელი ბარათები) გამოყენებულია შესაბამისი უკუკავშირის მისაწოდებლად. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება V კლასის მეორე სემესტრიდან და VI კლასში ათქულიანი სისტემით. სასწავლო პროცესის მონიტორინგის დოკუმენტის და გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს – საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი შეფასებების შედეგების მიხედვით შეფასებას. შემუშავებულია დისკუსიის, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის, პროექტის, სხვადასხვა წერითი სამუშაოს და ა.შ. შეფასების სქემები. წარმოდგენილი აქვთ სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკაც. სკოლაში არის სოლო ტაქსონომიით მოსწავლეთა მიღწევების შეფასების პრაქტიკა. ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ აღინიშნა, რომ აქტიურად რთავენ შეფასების პროცესში მოსწავლეს, მიმართავენ როგორც მოსწავლეთა თვითშეფასებას, ისე ურთიერთშეფასებას. მოსწავლეთა ცოდნის დონის ასამაღლებლად მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასების მრავალფეროვან სქემებს, შეფასების რუბრიკებს, მაორგანიზებელი ცხრილებს, შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს და სხვა. თავად მოსწავლეც აკეთებს თვითშეფასებას და ურთიერთშეფასებას - აფასებს საკუთარ და ერთმანეთის ცოდნას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს კონკრეტულ მაგალითებზე, როცა მოსწავლე თავად ერთვებოდა შეფასების პროცესში. ახდენდა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. სასწავლო წლის ბოლოს სხვადასხვა კათედრის პედაგოგები აფასებენ მოსწავლის აქტუალურ ცოდნის დონეს, მის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**5.** სკოლაში არსებობს წინარე გამოცდილების ანალიზის პრაქტიკა: კათედრის წევრების ინდივიდუალურ ანგარიშებზე დაყრდნობით კათედრის ანგარიშის შედგენა. ანგარიში მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და სხვა. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ხდება არსებული მდგომარეობის შეფასება, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რასაც ეფუძნება კათედრის სამუშაო გეგმა და შემდეგ, სასკოლო სასწავლო გეგმაც. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ახალ კურიკულუმთან ერთად წარმოადგინეს წინა წლის კურიკულუმები და ისაუბრეს განსხვავებებზე. დააკონკრეტეს კიდეც ის საკითხები, რომელთა გათვალისწინებაზეც იზრუნებენ მომდევნო წლის განმავლობაში წინა წლის საჭიროებების გათვალისწინებით, ეს საკითხები იყო კომპლექსური დავალებების განხორციელებისას დროის მენეჯმენტი და მშობელთა ინფორმირების სხვადასხვა ფორმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები ;
- სტრატეგიული დაგეგმარების კითხვარები;
- ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება ,ისგ-ს შემუშვების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- კლუბების დოკუმენტაცია .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2. კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1 წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუ , ასევე სკოლის ოფიციალური სოციალური გვერდი იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, ხდება სასწავლო პროცესში მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივება. მას ადასტურებს დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები და განხორციელებული პროექტები; აღნიშნული საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური კონტექსტების თვალსაზრისით, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს.თითოეული სამიზნე ცნების ფარგლებში მისაღწევი შედეგების მიხედვით ამ საფეხურის მასწავლებელებს აქვთ შედგენილი შეფასების რუბრიკები. შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს . გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად; გლობალური ფუნქციური უნარები (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი ნება) აღქმულია უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად.ამას მოწმობს ის ,რომ მოსწავლე აქტიურად ერთვება საგაკვეთილო პროცესში. ამისთვის გამოყენებულია სხვადასხვა შინაარსის კომპლექსურ დავალებები, რომელიც გულისხმობს დიორამების გაკეთებას, ნახატებისა და აპლიკაციების შექმნას, რაც პირდაპირ კავშირშია შემოქმედებითი უნარების განვითარებასთან. მოსწავლეები აქტიურად მუშაობენ სხვადასხვა სასკოლო თუ სოციალურ პროექტებზე, ისინი ქმნიან სხვადასხვა შინაარსის ნამუშევრებს, პლაკატებს, ბუკლეტებს, რომელიც ხელს უწყობს შემოქმედებითი, ფუნქციურ- გლობალური უნარების განვითარებას.მაგალითისათვის IV კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით განხორციელდა ბუნებისმეტყველებასთან (ქართულის, ხელოვნების და მე და საზოგადოების)

ინტეგრირებული პროექტი ,,მე საქართველოს მოქალაქე ვარ!". დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს და იასპარეზეს გარემოს დაცვითი და აგრარული განვითარების ეგიდით ჩატარებულ ,,მწვანე ჯილდოს" კონკურსში. ასევე სკოლა ჩართულია ინგლისურ ენაში საერთაშორისო პროექტ eTwining- გის ფარგლებში ჩატარებულ პროექტში ,, ჩემი ბედნიერი მომავალი" . აღნიშნული აქტივობის ფარგლებში მოსწავლეებმა შეძლეს შეერთებოდნენ როგორც საქართველოს , ასევე სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ თანატოლებს და თავიანთი აქტივობები ეჩვენებინათ სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები თანატოლებისთვის. აღნიშნულმა პროექტმა სკოლას მოუტანა ევროპული ხარისხი.. კათედრაზე განხორციელდა პროექტი ,,ნუ მოჭრი ნაძვის ხეს",რომლის ფარგლებშიც მშობელთა ჩართულობით მოხდა ელექტრონული რესურსების შექმნა და გამოფენა გაყიდვა.შემოსული თანხით მოსწავლეებმა დახმარება გაუწიეს სოციალურად დაუცველ ოჯახს. ასევე, უცხო ენის მიმართულებით სკოლა ჩართული იყო მშვიდობის კორპუსის მიერ განხორციელებულ და " ჰელოუნთან " დაკავშირებულ პროექტებში. მოსწავლეები ამ აქტივობებით ეცნობიან სხვა ქვეყნის კულტურას, უმუშავდებათ კომუნიკაციის, ურთიერთმოსმენის, ერთმანეთის აზრის გაზიარების და პატივისცემის უნარები. უყალიბდებათ ლიდერის თვისებები ისინი იქნებიან კრიტიკულნი და სამართლიანები საკუთარი თავისა და სხვების მიმართ, შეძლებენ სირთულეების დაძლევას, გამოუმუშავდებათ ანალიტიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას, მის თანდათანობით მიყვანას ახალ ცოდნამდე. ამის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი; სასწავლო პროექტები; მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები. (კერძოდ , უცხო ენაში ეს არის მაინკრაფტში შექმნილი დავალება, რაც მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს ეროვნულ კონფერენციაზე წარდგენილ პრეზენტაციაში.) სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები; მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, რაც ადასტურებს იმას , რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას მოსწავლის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. ცხოვრებისეული კონტექსტებზე დაყრდნობით შერჩეული კონტექსტ მაგალითები, რაც მოსწავლისათვის ნაცნობია, დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, თემები იმგვარად არის შერჩული , რომ წარმოადგენს მოსწავლისათვის აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის , ამას ხელს უწყობს კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობა, რომლის შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი. ასეთია, მაგალითად უცხო ენაში დილოგის წარმართვა მაღაზიაში, ზოომაღაზიაში, კაფეში, საცხოვრებელი ადგილის შესახებ ბუკლეტის შექმნა, პრეზენტაცია საყვარელი ცხოველის შეასახებ,,იდეალური სკოლის შესახებ, საყვარელი წელიწადის დროის შესახებ ილუსტრირებული ტექსტის შექმნა და მრავალი სახის დავალებები. საკლასო სივრცეში მიღებული ცოდნა ფართოდ იშლება სასკოლო პროექტებსა და არაფორმალურ აქტივობებში, რომელიც კონსტრუქტივისტულ მიდგომებს ეყრდნობა. სასკოლო პროექტები მიემართება

მდგრადი განვითარების მიზნების შესწავლისკენ. სწორედ ამ მიმართულებით დაწყებითი კათედრის ყველა მასწავლებელი ჩაერთო გარემოსდაცვითი პროგრამების მიერ ინიცირებულ პროექტში ,, მწვანე ჯილდო". აღნიშნული აქტივობებით სკოლა შეფასდა და გადავიდა ფინალში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესში სწავლის-სწავლას ექცევა დიდი ყურადღება. ამის დასტურად შეიძლება ჩავთვალოთ სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. ارმოდგენილი დაწყებითი საფეხურის თემატური მატრიცები და მასში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებზე მუშაობის პროცესში დასმული მეტაკოგნიტური ხასიათის კითხვები მოსწავლეს აფიქრებს სასწავლო პროცესზე. კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები. მოსწავლის მიერ გაკეთებული თვითშეფასება, დავალებების ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა, ეხმარება მოსწვალეს თვითგანვითარებაში.იმისათვის რომ მოხდეს სწავლის სწავლება ხდება საკვანძო შეკითხვის გამოყენება , როგორც ჩვეულებრივ საგაკვეთილო პროცესში, ასევე კომპლექსური დავალებების შესრულებისას. მოსწავლეს დავალებები სთავაზობს ისეთ აქტივობებს, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება მისი ცხოვრებისეული გამოცდილება. ასევე ხდება მასთან ერთად შესრულებული სამუშაოს ანალიზი , თუ რა ცოდნა და გამოცდილება მოუტანა წარმატებამ, რა არ გამოუვიდა. ხდება მოსწავლის მხარდაჭერა და მისი წახალისება, რომ მომავალში გააძლიეროს საკუთარი შემეცნების პროცესი. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება მეტაგოგნიტური პაუზის ჩართვა.იგი ხელს უწყობს მეტაკოგნაციას, სწავლის-სწავლის, განსაკუთრებით კარგად გამოიყენება სასწავლო პროცესში მეტაკოგნიტურ სქემები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა ჩანს საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესასრულებელ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში. სასწავლო პროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობასაც. წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეს ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებაში.სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ მასალას თემატური ერთეულის ფარგლებში. ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით ელექტრონული რესურსებიდან.სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. მაგალითად, უცხო ენაში ტექსტის დამუშავებისას მოსწავლემ იცის რა მოქმედებები განახორციელოს, როგორ წაიკითხოს, სად და

როგორ მოძებნოს ახალი სიტყვები.პროცედურული ცოდნა ეს არის ყველაფერი, რაც კი ნასწავლი გვაქვს სწავლის სტრატეგიების შესახებ. პირობისეული ცოდნა კი მოითხოვს მოსწავლისგან ცოდნის მოქმედებაში გადატანას. მის მტკიცებულებად სკოლას წარმოდგენილი აქვს სასწავლო პროექტები, მაგალითად, უცხო ენაში ეს არის პროექტი " ჰელოუინი" - მსოფლიო ქვეყნების კულტურის გაცნობა და მისი გადმოტანა თუნდაც ერთი კუთხით, რათა გაამრავალფეროვნოს მოსწავლეთა ცხოვრება.პროექტის მიზნები: მოსწავლეებმა გაიგონ უცხო ქვეყნის კულტურა, გაეცნონ ჰალოვინის დღესასწაულის სიმბოლოებს, ჰალოუინზე გავრცელებულ გასართობ თამაშებს. უფროსი ასაკის მოსწავლეები იქნებიან ლიდერები და პასუხისმგებლები ზეიმის დროს.სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის გააზრებულად გამოყენება და არა ცალკეული კომპონენტების დაქუცმაცებულად სწავლა. ამის ნიმუშად შეიძლება წარმოვადგინოთ კომპლექსური დავალება, სადაც ჩანს ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარატიულის, პროცედურულის და პირობისეულის გამოყენება) კონტრუქტივისტულ პრინციპებზე დაფუძნებული კურიკულუმი მოზარდებს შესთავაზებს წინარე ცოდნა-გამოცდილებასთან დაკავშირებულ ნაცნობ, ცხოვრებისეულ კონტექსტებს და გამოიწვევს მათში უცნობის შესწავლისა და ახლის აღმოჩენის უნარების განვითარებას.მასწავლებელები მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსურ დავალებებსა და პროექტულ სწავლებას. მოსწავლეები კლასში მიღებულ თეორიულ ცოდნას იყენებენ პრაქტიკაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. დაწყებით საფეხურზე ხორციელდება სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომების გამოყენება (აქტიური სწავლა-სწავლება, ცოდნის აგება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, სწავლის სწავლა, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება, აქცენტი გააზრებაზე და არა დამახსოვრებაზე) ცოდნათა ორგანიზებისა და ურთერთდაკავშირების მიზნით აქტიურად ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები და კომპლექსურ დავალებებს.მაგალითად:ბუნებისმეტყველება და ქართული ენა ,ხელოვნება და და ქართულის ინტეგრირება მოხდა კომპლექსური დავალებით ,,ოთხი სურვილი", რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს უკეთ გაიაზრონ საგანთა შორის კავშირი. სკოლა ამ მიმართულებით აქტიურად აპირებს მუშაობას მომავალშიც. ასევე გეგმავს ისტ-ის ინტეგრირებით გაკვეთილების მასიურად დაგეგმვასა და კომპლექსური დავალების განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- თემატური მატრიცები ;
- შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი შეფასების ანალიზი;
- სასწავლო პროექტები ;
- საკონფერენციო თემა უცხო ენაში ;
- სკოლის ოფიციალური სოციალური გვერდი .

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. ამ მასალების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.ამ ამ ცოდნისკენ სვლა კი კონსრუქტივისტული სწავლის მეთოდებით ხორციელდება. ეს დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად და ასევე კურიკულუმში ასახული თემატური ერთეულის მატრიცით, კომპლექსური ბუნების დავალებებით. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით. მაგალითად : მე-5 კლასის კომპლექსური დავალება კომპიუტერულ ტექნოლოგიებში ,,მარტივი თამაშის შექმნა ვიზუალური პროგრამირების გარემოში scrath“ სამიზნე ცნება: ალგორითმი, პროგრამული კოდი, სადაც ნათლად ჩანს მიმართებები სამიზნე ცნებებს, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საკითხებსა და საკვანძო კითხვას შორის კონტექსტთან კავშირში. აქვეა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.როგორც წარმოდგენილ დოკუმენტებში ,ისე ინტერვიუს დროს დადგინდა , რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და სოციო-ემციურ განვითარებას, მათ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი აქვთ არაერთი კომპლექსური დავალება, რომლებზეც მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შემდეგ სვამენ ისეთ კითხვებს

რომელიც მოსწავლეს დააფიქრებს, სწავლის პროცესზე, მაგ: რას შეცვლიდი? რაში გამოიყენებ მიღებულ ცოდნას? რა გამოვიდა კარგად, რა არის ამის მიზეზი?. .ისინი სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი, ხორციელდება პროექტები, რომლებიც დოკუმენტურადაც აქვთ წარმოდგენილი, მათ შორისაა პროექტი "დედამიწა ჩემი სახლია", " მე საქართველოს მოქალაქე ვარ"რომლებიც მიზნად ისახავენ მოსწავლის სოციო ემოციურ განვითარებას. აღსანიშნავია , რომ სკოლაში ფუნქციონირებს კინომოყვარულთა კლუბი ,,სინემა'', რომელიც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. შეფასების მექანიზმებში ჩართულია თანატოლთა შეფასების და თვითშეფასების ფორმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში არის მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის მიხედვით შედგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. გასაუბრებაზე აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეხმარება მასწავლებლებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაში და მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრაში ,რის საფუძველზეც გეგმავენ მოსწავლის პროგრესის გზას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან დავალების/ კომპლექსური დავლების შეფასების რუბრიკებს, რომლებიც ხშირად თვალსაჩინოდაა კედელზე გაკრული, რაც გამჭირვალობის, სანდოობისა დასტურია. სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ, მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთს და მსჯელობენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე, აკეთებენ თვითშეფასებას.პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების დახვეწასა და გამოყენებას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გასაუმჯობესებლად, პრობლემების იდენტიფიცირებისა და შემდგომი პროცესების დაგეგმვისთვის. მასწავლებლები გააგრძელებენ მუშაობას შეფასების მეთოდოლოგიაზე, შეფასების კრიტერიუმებზე. გაითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს, დააკვირდებიან და გამოკვეთენ, რომელ

შედეგს მიემართება შეფასება. მოსწავლეებს წინასწარ ეცოდინებათ, თუ როგორ შეფასდება მათი ცოდნა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. შეფასება იქნება გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. თითოეული ქულა თუ განმავითარებელი შეფასება იქნება რეალისტური, კონკრეტული, დახვეწილი და არაორაზროვანი. ეს კი, თავის მხრივ, განსაზღვრავს შეფასების სანდოობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.წარმოდგენილ დოკუმენტებსა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი აქვს შემუშავებული.წარმოდგენილ დოკუმენტში გაწერილია შიდა ვერიფიკაციის საშუალებით ხარისხის უზრუნველყოფის წამყვანი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც დგინდება სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა კათედრებზე შემავალი თითოეული საგნის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებისა და მისი დამადასტურებელი მტკიცებულებების თავსებადობა საგნის სტანდარტთან.მისი მეშვეობით ხორციელდება სკოლაში მოქმედი კათედრების საგნობრივ ჯგუფის შემადგენლობაში შემავალი საგნების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტების სიღრმისეული, სხვადასხვა რაკურსით შესწავლა და აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამისი საგნის მასწავლებლებთან/კათედრების თავმჯდომარეებთან უკუკავშირის საფუძველზე, საგნის შეფასების ინსტრუმენტში ცვლილების შეტანა. დეტალურადაა გაწერილი შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის საქმიანობა , კერძოდ აღნიშნულია რომ :იგი ახდენს კონკრეტული საგნისთვისგანსახორციელებელი/განხორციელებული სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურის შესაბამისობის დადგენას, მისაღწევი/მიღწეული სწავლის შედეგების მიხედვით; შეისწავლის განსახორციელებელი/განხორციელებული, კონკრეტული საგნის სწავლის შედეგის/შედეგების შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივ მხარეს მისაღწევ/მიღწეულ სწავლის შედეგთან მიმართებით; აწარმოებს გამოკითხვებს სკოლის მოსწავლეთა კმაყოფილების, ასევე მასწავლებლების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებისა და მისი გამოყენების პროცესის შესახებ; უზრუნველყოფს შეფასების პროცესზე დასწრებას მისი გაკონტროლების მიზნით;შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის წარმომადგენლის შეფასების პროცესზე დასწრების ფაქტი დასტურდება შესაბამის უწყისზე ხელმოწერის ფაქტით; ამზადებს დასკვნის პროექტს და წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირების მიზნით .შესაბამისად სკოლის როგორც ადმინისტრაცია, ისე პედკოლექტივი გამოთქვამს მზაობას რომ ამ მიმართულებით 2023-2024 წელს კიდევ უფრო აქტიურად იმუშავებს . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა  და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად  გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებულმონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და  და მასალა ინახება მათი შემდგომი გამოყენების მიზნით.  კათედრებზე შენახულია 2022-23 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიერ შესრულებული  შემაჯამებელი დავალებები,  შემაჯამებელი დავალებების ანალიზი,  მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები,(ელ ჟურნალი), მოსწავლის პირადი საქმე . სამომავლოდ სკოლას აქვს მზაობა, რომ  უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტაციის შენახვა არანაკლებ 3 წლის ვადით..  **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის  კურიკულუმები ;
- კომპლექსური დავალების ბარათები;
- განმავითარებებლი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;
- თემატური ერთეულის მატრიცები;
- ვერიფიკაციის მექანიზმი.

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. როგორც სკოლის სასწავლო გეგმაშია აღნიშნული , მოსწავლემ განათლება უნდა მიიღოს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში, ამავე დოკუმენტის მიხედვით, სკოლას მეთოდიკურ ორიენტირებად არჩეული აქვს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვა, მოსწავლის მოტივაციის გაზრდა, დისციპლინის განვითარება და სასწავლო პროცესში მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა, სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას, სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა და დასახულია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი აქტივობები აღსანიშნავია, რომ სკოლას აქვს კარგად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო მცნიერებების კაბინეტი, სადაც შექმნილია მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემო. დირექციის მიერ შექმნილი განრიგის შესაბამისად დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს აქვთ შესაძლებლობა ბუნებისმეტყველების გაკვეთილები ჩაატარონ კაბინეტში. მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა საკითხზე შექმნილი ნაშრომები (მოდელები, მაკეტები, პოსტერები და სხვა), განთავსებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტში, საკლასო ოთახებში და სკოლის თავისუფალ სივრცეებში. აქედან გამომდინარე, სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობები, ასევე მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალების ნიმუშებიდან , სასკოლო თუ საგნობრივი პროექტებიდან , ასევე სკოლის მიერ მოწოდებული 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა- სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც ეფუძნება სასწავლო პროცესი, აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა სასკოლო გარემოში ადაპტაციაზე ზრუნავს სკოლაში შექმნილი ჯგუფი(ბრძ.N2-77), მოსწავლეებზე ზრუნვის თვალსაზრისისით მნიშვნელოვანია სკოლაში ტრანზაციის ჯგუფის არსებობა, რომელსაც გაწერილი აქვს მოსწავლეთა ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული გეგმა.(ბრძ.N2-86). სკოლა ზრუნავს

უსაფრთხო ფსიქო-ემოციური სასწავლო გარემოს ორგანიზებაზე (ბრძ.2-106). მოსწავლეებზე ზრუნვაა ის, რომ სკოლას აქვს ინდ. სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია(ბრძ.N2-74-1),აგრეთვე, სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია(ბრძ.N2-76-1).სკოლა რეგულარულად ზრუნავს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრა ხდება სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესების გათვალისწინებით. წლის განმავლობაში კათედრის სხდომებზე მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. განსაზღვრავენ წარმატებების წინაპირობებს და ერთად სახავენ პრობლემის გადაჭრის გზებს. სკოლაში დანერგილია „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი. პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, ხვდებიან ერთმანეთს, უზიარებენ გამოცდილებას, მსჯელობენ, რა მეთოდებით მიაღწევენ მიზანს.ინტერვიუს დროს სკოლის წამყვანი და მენტორი მასწავლებლები აღნიშნავენ კოლეგათა საჭიროებების დასადგენად და მათ მხარდასაჭერად განხორციელებული აქტივობების შესახებ. სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა და სხვა პერსონალთა ადაპტაციის წესი(ბრძ.2-98), სკოლას გაწერილი აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება(ბრძ. 2-102), მშობლებთან აქტიური კომუნიკაცია მათ მიერ განხილული კომპლექსური დავალების ბარათები და რეკომენდაციები ცხადყოფს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური სასწავლო გარემო. როგორც სკოლის 2023-2024 სასწავლო გეგმაშია აღნიშნული, მოსწავლემ განათლება უნდა მიიღოს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში, ასევე იმავე დოკუმენტშია აღნიშნული, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას, სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა და დასახულია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი აქტივობები, სკოლას აქვს მრავალფეროვანი თემატიკით წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამა, განსახილველი თემები ირჩევა მოსწავლეთა ასაკისა და ინტერესის გათვალისწინებით, თემის განხილვის შემდეგ იმართება დისკუსია, მოსწავლეები წერენ საკუთარ მოსაზრებებს, ცდილობენ, სასიკეთო ზეგავლენა იქონიონ ერთმანეთზე, რჩევითა და დახმარებით დააძლევინონ ერთიმეორეს წინააღმდეგობები .აქედან გამომდინარე, სკოლაში მეტწილად

უზრუნველყოფილია  პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. მასწავლებლები ზრუნავენ შექმნან ისეთი გარემო, სადაც ხელი შეეწყობა თითოეული პედაგოგის წინსვლასა და წარმატებას ,ამისათვის სკოლაში დანერგილია ,,კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი", მასწავლებლები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე, იკრიბებიან, მსჯელობენ, აძლევენ კოლეგებს უკუკავშირს.პოზიტიური სასკოლო კლიმატი გამოიკვეთა  გასაუბრების დროსაც, პედაგოგები  ერთმანეთის მიღწევებზე საუბრობენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმები;
- ინდ.სასწავლო გეგმები;
- სადამრიგებლო გეგმები და ჩატარებული კლასის საათების ამსახველი დოკუმენტაცია;
- ბრძანებაN2-102-საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულების დამტკიცების შესახებ;
- ბრძანებაN2-74-1- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დებულების დამტკიცების შესახებ;.
- ბრძ.2-76-1- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დებულების დამტკიცების შესახებ;
- ბრძ.N2-77- მოსწავლეთა ადაპტაციის წესის დამტკიცებისა და მოსწავლეთა ადაპტაციაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- ბრძ.2-86 - სკოლაში ტრანზაციის კოორდინატორის, ტრანზაციის ჯგუფისა და ტრანზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ;
- ბრძ.N2-87- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის ჯგუფისა და სკოლაში მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭრის წესის დამტკიცების შესახებ;
- ბრძ.N2-98 - სკოლის პერსონალის ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ;
- ბრძ.N2-106- სკოლის მოსწავლეთა უსაფრთხო  ფსიქო-ემოციური სასწავლო გარემოს ორგანიზების სამუშაო რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებასა და დანერგვაში ჩართულია დაწყებითი კათედრის მასწავლებლები. განხორციელების პროცესს აკვირდებიან კათედრის წევრები, ასევე სკოლაში არსებული ხარისხის განვითარების ჯგუფი. მათივე ინფორმაციით ,ისინი ინტენსიურად თანამშრომლებენ ერთმანეთთან, ერთობლივად გეგმავენ სასწვლო პროცესს, აკვირდებიან ერთმანეთის მუშაობას სწავლა- სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, როგორც კურიკულუმის

განვითარების მეთოდოლოგიითაა განსაზღვრული. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა ასევე ცალსახად გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწვალების პროცესის გაუმჯობესებისათვის, განსაზღვრავს ინდიკატორებს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაზომოს როგორც პროცესი, რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე შედეგები და პასუხი გასცეს კითხვებს: მიმდინარეობს თუ არა აქტივობები დაგეგმილის მიხედვით? მოახდინა თუ არა ცვლილება პროგრამის აქტივობებმა? აგრეთვე მონაცემთა შეგროვების მეთოდები და ვადები, როლები და პასუხისმგებლობები, ანალიზისა და ანგარიშგების გეგმა, რომლის ბოლო ელემენტიც აღწერს, თუ როგორ აისახება შედეგები კურიკულუმის განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების თვალსაზრისით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარებისათვის როგორც კათედრების, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის წევრები ესწრებიან ჩატარებულ გაკვეთილებს. აძლევენ უკუკავშირს პედაგოგებს. ჩატარებული გაკვეთილების ანალიზის შედეგად ადგენენ არსებულ ხარვეზებს და ერთობლივად ეძებენ გადაჭრის გზებს . მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა , ასევე თვითშეფასება ეხმარება მათ გამოიკვეთოს რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კათედრებს განსაზღვრული აქვთ დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი მოსწავლეთა შეფასებისათვის და შემგდომი მხარდაჭერისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა ,რომ დაწყებითი კლასების მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ საინტერესო მეთოდებსა და სტრატეგიების გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებს, აფასებენ მოსწავლეთა ნაშრომებს და სხვა, ამით ახდენენ კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. კათედრის სხდომებზე და სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე ახდენენ ანალიზს რამდენად ეფექტურია მიდგომები და ერთობლივად ეძებენ პრობლემების გადასაჭრელ გზებს. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მომავალში შეფასებასთან წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად გეგმავენ კვლევით აქტივობებს, რომლის ანალიზის შედეგებს ასახავენ სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში.სკოლის პრობლემების მონიტორინგის და შეფასების განსაზღვრის იდენტიფიცირების შემდეგ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს კონკრეტულ ნაბიჯებს კონკრეტული მიზნებისათვის განსაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურები. უმჯობისია თუ სპორტის მიმართულებით შეიმუშაონ

სადიაგნოსტიკო კვლევის გეგმა  და  მიზნის მისაღწევად საჭიროების მიხედვითმოახდინონ ანალიზი.  **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმები დაწყებითი საფეხურის;
- სასკოლო სასწავლო გეგმა ;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ხარისსხის მართვის დებულება.
- სამუშაო შეხვედრების ანგარიშები  .

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.**სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი, რომ ესაა ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; აქ მოიაზრება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, როგორც წყარო, ასევე სხვადასხვა დოკუმენტური, სტატისტიკური, ფინანსური თუ სხვა ტიპის რესურსი.მაგალითად ესთეტიკის კათედრაზე განმავითარებელი შეფასების რუბრიკის გარდა, კათედრას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა განმსაზღვრელი(იგულისხმება მეხუთე კლასის მეორე სემესტრი და მეექვსე კლასი) და თვითშეფასების ინსტრუმენტები, ინტერვიუ მოსწავლესთან, მოკლე ჩანაწერები, პრეზენტაციების შეფასება, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები და ა.შ.ჩანს, რომ სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, როლებიც მიმართულია სხვადასხვა ტიპის შემსწავლელთა გამოვლენისა და მათ საჭიროებებზე მორგებული დავალებების შექმნისაკენ. განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები ცხადყოფს, რომ მასწავლებლები ცდილობენ მის დაგეგმვას იმგვარად, რომ მონაცემების შეგროვება მოხდეს მრავალფეროვანი მეთოდებით, სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც შეამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და შესაძლებლობას მისცემს მათ სრული სურათის წარმოსადგენად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესის შეფასება განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სწორედ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. პედაგოგები გასაუბრებაზე აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია გაითვალისწინონ მასწავლებლის პროფესიული მზაობა და მისი პედაგოგიური პრაქტიკის

კვლევაც, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, აუცილებლად კონტექსტის გათვალისწინებით, ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას, კიდევ უფრო დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები. შეფასების მრავალი კონტექსტის გათვალისწინების თაობაზე გაწერილია სკოლის თვითშეფასების დოკუმენტშიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლა იყენებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდებს,რაც შეფასებისასდმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. დაწყებით საფეხურზე გამოყენებულია მოსწავლეთა როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკები. მიღებული ინფორმაცია ეხმარება პედაგოგებს სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესის და მოსწავლის მიღწევის გამუჯობესებაში. მნიშვნელოვანია შეგროვებისას გავითვალიწინებულ იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები, რაც სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმას უზრუნველყოფს. ინტერვიუს შედეგად ვლინდება, რომ სკოლას და კათედრის წევრებს აქვთ გარკვეული ხედვა, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხორციელდება შეფასება მრავალი მეთოდების გამოყენებით, თუმცა მონაცემთა შეგროვებისათვის, სასურველია, გამოყენებული იქნას სოციალური კვლევების მეთოდები ფართო სპექტრი, როგორიც არის ინტერვიუ, სატელეფონო ინტერვიუ, გამოკითხვა, ფოკუს-ჯგუფი, არაფორმალური გასაუბრება, დაკვირვება და შემუშავდეს შესაბამისი ინსტრუმენტები მაგალითად, ინტერვიუს გაიდი, ჩანაწერები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. პედაგოგები მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის სასწავლო შედეგებთან დაკავშირებით და სხვ. 2023 – 2024 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს უფრო მეტად კომპლექსური,მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით , რომლის დროსაც მოხდება მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი.ეს მიდგომა კი გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, სკოლაში მიმდინარე ნებისმიერი

პროცესისა თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. უმჯობესი იქნება კონკრეტულად გამოიკვეთოს, ესთეტიკის კათედრაზე თუ რა საშუალებების გამოყენებით ხორციელდება ანალიზი და კონკრეტულად რომელი ფაქტორების იდენტიფიცირება ხდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმი;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოლოგია;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- შეფასების რუბრიკები.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრს ოქმები .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის-განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ დაწყებით საფეხურზე ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად და ჩაიშლება განახლებულ კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმაში. ამის დასტურია კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები. მასწავლებლებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ ეს პრინციპები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმის პროცესში და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად იღებს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ვერსია გარკვეულწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას, რადგან სკოლაში არსებობს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, ეს შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს კურიკულუმების გადასინჯვა და მისი გაუმჯობესება; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მომდევნო წლის კურიკულუმი მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების გათვალისწინებით იქნება შემუშავებული, შესაბამისად დაეფუძნება წინარე გამოცდილებას. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია გაკვეთილზე

დაკვირვების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, რაც კათედრის წევრებთან გასაუბრებიდანაც დასტურდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის  შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი  საფეხურის კურიკულუმები;
- კათედრის ოქმები ;
- მასწავლებლის წლიური ანგარიშები.

შეფასება:

- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (საბაზო საფეხური)**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (საბაზოსაფეხური)** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. სასკოლო კურიკულუმი -**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
**1.**სკოლას შემუშავებული აქვს  კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებელობებს და პრიორიტეტებს. გასულ, 2022-2023 სასწავლო წელს ავტორიზაციის საკითხებთან დაკავშირებით ქოუჩებთან კონსულტაციის შედეგად პედაგოგებმა კათედრებზე შეიმუშავეს საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, რომლის განხორციელებაც დაიწყო მიმდინარე სასწავლო წლის 15 სექტემბრიდან. კათედრები გეგმავენ მუდმივად იზრუნონ კურიკულუმის ჩარჩოების დახვეწასა და გაუმჯობესებაზე. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები, რომელზე დაფუძნებითაც განხორციელებული სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რადგანაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობები. სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის განხორციელება ხდება სკოლის სხვადასხვა საინფორმაციო არხებით, როგორიცაა ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები, პირისპირ და საჯარო შეხვედრები. კათედრის წევრები სასწავლო წლის ბოლოს ერთობლივად აანალიზებენ მთელი წლის განმავლობაში შეგროვებულ მონაცემებს, მოსწავლეთა შედეგებს განხორციელებული კომპლექსური დავალებებისა და პროექტების მიხედვით. ასევე განიხილავენ მშობელთა ჩართულობით განხორციელებულ აქტივობებს. ანალიზით ადგენენ მოსწავლეთა საჭიროებებს, შესაძლებლობებს, ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს და ასე შეიმუშავებენ მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ისინი სამომავლოდ გამოკითხვებითა და კვლევებით შეისწავლიან სასკოლო საზოგადოების - მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესებს. სიღრმისეულად დაადგენენ საჭიროებებსა და განსავითარებელ მხარეებს, რომელსაც ასახავენ საგნობრივ კურიკულუმებში.

საბაზო საფესურის თითოეული საგნის პედაგოგს კურიკულუმის მეთოდოლოგიის შემუშავების მთავარ გამოწვევად მიაჩნია განმავითარებელი შეფასების განვითარება და დახვეწა, კომპლექსური და კომპლექსური ტიპის დავალებების სასწავლო პროცესში აქტიურად გამოყენება და სასკოლო საზოგადოების მეტად ჩართვა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის საშუალებითა (რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია) და პედაგოგებთან ინტერვიუს გზით დგინდება, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებული და ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები და მოლოდინები. პედაგოგები გამოცდილებაზე დაყრდნობით სისტემატურად მუშაობენ კურიკულუმში შესატან ცვლილებებზე, რათა მოხდეს წინა წლის შედეგების გაუმჯობესება. მოსწავლეების ვერბალური გამოკითხვის გზით, პედაგოგები ადგენენ მათ ინტერესებს კომპლექსური დავალების ტიპებთან და განხორციელების ეტაპებთან დაკავშირებით. კურიკულუმზე მუშობის პროცესში საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრის წევრები საგნების შესაბამისად აანალიზებენ სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებულ სასწავლო პროცესებზე დაკვირვებების შედეგებსა და მიგნებებს, ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოებასთან, მშობლებთან კომუნიკაციის შედეგად მიღებულ უკუკავშირს, რაზე დაყრდნობითაც გამოკვეთეს სასკოლო საზოგადოების საერთო ინტერესები და ასახეს საგნობრივ კურიკულუმებში. მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და ასაკობრივი თავისებურებები. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საგნობრივი კურიკულუმები სასკოლო საზოგადოების ინტერესებზეა ორიენტირებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლაში კურიკულუმების შემუშავების პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. აღნიშნულ პროცესში ჩართულია კათედრის თითოეული წევრი. კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების წარმოდგენილ დოკუმენტში, (რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია) გაწერილია მასწავლებლების, კათედრის თავჯდომარეების, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სასწავლო თემებზე მუშაობისას პედაგოგი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს მოსწავლეთა მშობლებს, იძიებს გზებს და ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო მეტად ჩართვისთვის. ასევე ინფორმაციის გაცვლა ხდება სხვა საგნობრივი კათედრების წევრებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან. კურიკულუმში, მშობლებთან შეთანხმებით, განისაზღვრება მეორე უცხოური ენა, ხოლო არჩევითი საგნების შერჩევაში მონაწილეობენ

თავად მოსწავლეები. მასწავლებლებს მშობლებთან აქტიური კომუნიკაცია ეხმარებათ მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების დაზუსტებაში, რასაც ასახავენ საგნობრივ კურიკულუმებში. ამის გათვალისწინებით სავალდებულო თემებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები და სამიზნე ცოდნაზე ორიენტირებული კონტექსტ მაგალითები, შედარების მაგალითები, მოსწავლეთა ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით შერჩეულია საინტერესო კომპლექსური დავალებები. სკოლაში საბაზო საფეხურის თითოეულ საგანში მოსწავლეებს აქვთ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის უნარ-ჩვევები და მრავალფეროვანი პროდუქტების (პოსტერი, ბუკლეტი, PPT პრეზენტაცია, ესსე და სხვა) შექმნის გამოცდილება. ამრიგად, კურიკულუმის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტისა და პედაგოგების ინტერვიუირების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის, ხდება კათედრათა შორის ინფორმაციის გაცვლა და თანამშრომლობა. უკუკავშირის მიღების მიზნით მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდება დაგეგმილი კომპლექსური დავალებებისა და შეფასების რუბრიკების შესახებ. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებული ვარიანტი სკოლაში განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე, ასევე გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე, რომელიც ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია. სკოლა მშობლებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად ასევე იყენებს მათთან პირისპირ შეხვედრებს ან/და სოციალურ ქსელებს. დამრიგებლების მიერ მშობელთა ინფორმირება ხდება მშობელთა კრებებზე. სადამრიგებლო საათზე კი მოსწავლეები ეცნობიან ინფორმაციას კურიკულუმის ძირითადი ნაწილების და კომპლექსური დავალებების შესახებ. მიმდინარე სასწავლო წლიდან სკოლა მეტად გააქტიურებს მოსწავლეებთან და მშობლებთან კომუნიკაციას, სკოლის ვებგვრდზე განათავსებს ყველა საჯარო დოკუმენტს, რაც გააუმჯობესებს მათ ხელმისაწვდომობას. აქედან გამომდინარე, სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საბაზო საფეუხურის საგნობრივი კურიკულუმები;

- შეფასების რუბრიკები;
- კითხვარები სასკოლო საზოგადოებისთვის ;
- საინფორმაციო დაფაზე გამოკრული დოკუმენტაცია.
- დამრიგებლების მოხსენებითი ბარათები
- მშობელთა კრების ოქმები

**2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.წარმოდგენილი კურიკულუმიდან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ის ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და ითვალისწინებს იმ ძირითად პრინციპს, რაც მასშია მოთხოვნილი - დაგეგმილი აქტივობებით და კომპლექსური დავალებებით აქცენტი კეთდება მოსწავლის ძლიერი მხარის წამოწევაზე, წინარე ცოდნის გააქტიურებაზე და მოტივაციის ამაღლებაზე. ასევე გათვალისწინებულია ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი. ის რომ მოსწავლე სწავლების პროცესში მთავარი სუბიექტია იკვეთება მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმეს სწორედ მოსწავლეთა შედეგების, ინტერესების გათვალისწინებით, შუალედურ სასწავლო მიზნებში ასახული შეფასების კრიტერიუმები და შესაქმნელი პროდუქტები მორგებულია

მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, ყურადღება. მაგალითად, სკოლაში ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს უცხოური ენის კლუბი "English reading club" , რომლის მიზანია ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლების ხელშეწყობა; აქტიური მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების განვითარება; მოსწავლეთა ინიციატივების პროექტების სახით განხორციელება; ინტელექტუალური, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება. ინდიკატორის მოთხოვნებიდან გამომდინარე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე არსებობს გარკვეული ცოდნა და გამოცდილება, რაც პედაგოგებს დაეხმარათ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზის ამსახველი კურიკულუმების შემუშავებაში.აღნიშნული დასტურდება კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით ბიოლოგიაში, ქიმიასა და ფიზიკაში. სავალდებულო თემებიდან გამომდინარე მთავარ საკითხებზე შემუშავებულია კომპლექსური დავალების იდეები, შესაბამისი კონტექსტ მაგალითებით, შედარების მაგალითებითა და სასწავლო რესურსებით. კათედრამ ასევე წარმოადგინა საბაზო საფეხურის VII-IX კლასებისთვის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის დოკუმენტები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში გაწერილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები, სკოლა ახლაც მუშაობს კომპლექსური დავალების პირობების განვითარებაზე, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება, მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით. საბაზო საფეხურის საგნებრივი კურიკულუმები ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. კურიულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ფაქტების ანალიზს, იდეების გენერირებასა და ორგანიზებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას,

არგუმენტების შეფასებასა და პრობლემების გადაჭრას მოითხოვს ისევე, როგორც თავისუფლად აზროვნებასა და შემოქმედებითობას. განსაზღვრულია დავალებები ინდივიდუალური მუშაობისა და მცირე ჯგუფებში განხილვისთვის, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში საკომუნიკაციო და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას.თუმცა სასურველიათუ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები მათი მხრიდან უფრო მეტად იქნება მორგებული მოსწავლეების შესაძლებლობებს, უნარებს, მისწრაფებებს. გათვალისწინებული იქნება ესგ-ის მოთხოვნები, კერძოდ გრძელვადიანი მიზნების განხორციელების აუცილებლობის მნიშვნელობა და შუალედური სასწავლო მიზნებთან (კომპლექსური დავალებები) მათი უშუალო კავშირი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების ხედვა, ინდივიდუალური მიდგომები, ყოველი მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და მოტივაციის გზები, წინარე ცოდნის გათვალისიწინება და მასზე ახალი მასალის დაფუძნების გზები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით სასწავლო პროცესში იკითხება დიფერენცირებული მიდგომები: გარემო, პროცესი, შინაარსი, პროდუქტი. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით პედაგოგის მიერ შემუშავებული კომპლექსური დავალებების პირობით მოსწავლეებს ეძლევათ ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას სხვადასხვა არჩევანის შესაძლებლობა, ასევე საბოლოო პროდუქტიც შეუძლიათ წარმოადგინონ მრავალფეროვანი სახით: (ნახატი, ილუსტრაცია, პრეზენტაცია, რუკა, პოსტერი, საინფორმაციო ბუკლეტი და ა.შ.). სკოლაში დიფერნცირებულ მიდგომებს იყენებენ მოსწავლეთა და პედაგოგთა შეფასების დროსაც, მაგალითად საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის პედაგოგებმა პირისპირ ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები აკეთებენ თვითშეფასებას და ურთიერთშეფასებას - აფასებს საკუთარ და ერთმანეთის ცოდნას. მათ ისაუბრეს კონკრეტულ მაგალითებზე, როცა მოსწავლე თავად ერთვებოდა შეფასების პროცესში. ახდენდა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. სასწავლო წლის ბოლოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის პედაგოგები აფასებენ მოსწავლის აქტუალურ ცოდნის დონეს, მის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასევე მოცემულია სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავების მექანიზმები.ადგილზე ვიზიტისას დადგინდა ,რომ სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის კარგი პრაქტიკა, ჰყავს სპეც. მასწავლებელი და ასისტენტი. პედაგოგებს აქვთ სასწავლო გეგმის მოდიფიცირების მზაობა. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი, რომელიც კარგადაა აღჭურვილი საჭირო რესურსებით. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება თუ რამდენადაა

მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. ეს ყველაფერი კი უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა- სწავლების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია საბაზო საფეხურისთვის როგორც განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასებისთვის სკოლამ მომავალ წელს შეარჩია შეფასების პირველი მოდელი, ანუ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებების შეფასება განმსაზღვრელი ნიშნით. წარმოდგენილია საკლასო სამუშაოს, საშინაო დავალების, შემაჯამებელი წერის და სხვადასხვა აქტივობის შემთხვევაში მოსწავლის შეფასების რუბრიკები. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ ანალოგიური რუბრიკებით იხელმძღვანელებენ თითოეული სამუშაოს შეფასების დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში არსებობს წინარე გამოცდილების ანალიზის პრაქტიკა: კათედრის წევრების ინდივიდუალურ ანგარიშებზე დაყრდნობით კათედრის ანგარიშის შედგენა. ანგარიში მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და სხვა. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ხდება არსებული მდგომარეობის შეფასება, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რასაც ეფუძნება კათედრის სამუშაო გეგმა და შემდეგ, სასკოლო სასწავლო გეგმაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები;*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- სტრატეგიული დაგეგმარების კითხვარები ;

- ინკლუზიური განათლების პროგრამადა დებულება ;
- ისგ-ს შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- კლუბების  დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2.კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუ , ასევე სკოლის სოციალური გვერდი იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, ხდება სასწავლო პროცესში მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივება. ამას ადასტურებს საბაზო საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები და განხორციელებული პროექტები; საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური კონტექსტების თვალსაზრისით, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები. აღნიშნულ საფეხურზე მოსწავლეზე ორიენტირებული პოზიტიური სასწავლო გარემოა.თითოეული სამიზნე ცნების ფარგლებში მისაღწევი შედეგების მიხედვით მასწავლებელებს შედგენილი აქვთ შეფასების რუბრიკები. შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს . გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად; გლობალური ფუნქციური უნარები (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი ნება) აღქმულია უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად.ამას მოწმობს ის ,რომ მოსწავლე აქტიურად ერთვება საგაკვეთილო პროცესში. ამისთვის გამოყენებულია სხვადასხვა შინაარსის კომპლექსურ დავალებები, რაც პირდაპირ კავშირშია შემოქმედებითი უნარების განვითარებასთან. მოსწავლეები აქტიურად მუშაობენ სხვადასხვა სასკოლო თუ სოციალურ პროექტებზე, ისინი ქმნიან სხვადასხვა შინაარსის ნამუშევრებს, პლაკატებს, ბუკლეტებს, რომელიც ხელს უწყობს შემოქმედებითი, ფუნქციურ- გლობალური უნარების განვითარებას.მაგალითისათვის სკოლა ჩართულია საერთაშორისო პროექტ eTwining- გის ფარგლებში ჩატარებულ პროექტში ,, ჩემი ბედნიერი მომავალი“ . პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა შეძლეს შეერთებოდნენ როგორც საქართველოს ასევე სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ თანატოლებს და თავიანთი აქტივობებით ეჩვენებინათ სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები თანატოლებისთვის. აღნიშნულმა პროექტმა სკოლას მოუტანა ევროპული ხარისხი. ასევე სკოლა ჩართულია მშვიდობის კორპუსის მიერ

განხორციელებულ პროექტში.საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით  წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან შემოქმედებით პროცესებში. კათედრის მიერ საბაზო საფეხურზე ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში არაერთი პროექტი განხორციელდა. კერძოდ, ფიზიკის მიმართულებით - სკოლა სამი წლის განმავლობაში მონაწილეობას იღებდა ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ ინიციატირების კონკურსში, სადაც წარადგინეს ,,მეხანძრის ცეცხლგამძლე კოსტუმი", რისთვისაც მეორე ადგილი დაიმსახურეს. სტემის ფარგლებში განახორციელეს ინტეგრირებული პროექტი ქიმიასთან ,,წებოს დამზადება", ,,მეორადი ქაღალდის შექმნა" (რომლის გამოყენებითაც შექმნეს მაკეტი ,,ეკოლოგიურად სუფთა ქალაქი"), დაამზადეს პლასტმასი, შექმნეს მარტივი მანქანის მოდელი, რომელიც არის მუშა მდგომარეობაში - შეუძლია გადაადგილება. გეგმავენ მანქანას დაუმატონ მოძრაობის დროს ხმოვანი შეტყობინების ფუნქცია. ხელოვნებასთან ფიზიკის ინტეგრირებით დაამზადეს ფერადი განათებებით გაფორმებული საახალწლო მისალოცი ბარათები. ამჟამად მუშაობენ მოძრავი გემის მაკეტის შექმნაზე.  ქიმიის მიმართულებით ,მეცხრე კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით განახორციელეს პროექტი ,,ქიმია, ჩვენს ირგვლივ!". ბიოლოგიის მიმართულებით  კი - სასკოლო პროექტი ,,ნუ მოჭრი ხეს", იგივე პროექტის ფარგლებში დარგეს მრავალწლოვანი ხე მცენარეები. ჩაერთვნენ პროექტში ,,დედამიწა, ჩემი სახლია"  - ,,რა ზიანს აყენებს ბუნებას ყოველი დახეული ფურცელი". **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საბაზო  საფეხურის მასწავლებლები  ხელს უწყობენ  მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას, მის თანდათანობით მიყვანას ახალ ცოდნამდე. ეს ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო  საფეხურის კურიკულუმებში ;  სასწავლო პროექტებში;  მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებში, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;  მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზები, რაც ადასტურებს იმას , რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას მოსწავლის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. ცხოვრებისეულ კონტექსტებზე დაყრდნობით შერჩეული  კონტექსტმაგალითები, რაც  მოსწავლისათვის ნაცნობია,  დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, თემები იმგვარად არის შერჩული, რომ წარმოადგენს მოსწავლისათვის აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც  მნიშვნელოვანია მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის, ამას ხელს უწყობს  კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობა, რომლის  შესრულებისას მოსწავლეს უწევს პრობლემის გადაჭრა, უწევს ანალოგიის შექმნა და საბოლოოდ გამოდის საინტერესო პროდუქტი.  ასეთია, მაგალითად უცხო ენაში დიალოგის წარმართვა მაღაზიაში, ზოომაღაზიაში, კაფეში, საცხოვრებელი ადგილის შესახებ ბუკლეტის შექმნა, პრეზენტაცია საყვარელი ცხოველის შეასახებ,  თინეიჯერების და მშობლების პრობლემების,იდეალური სკოლის შესახებ, საყვარელი წელიწადის დროის შესახებ , პატარა სამეზობლოს შექმნა მაინკრაფტში და მრავალი სახის დავალებები.ერთ-ერთი, უცხო ენაში მაინკრაფტში შექმნილი დავალება მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს ეროვნულ კონფერენციაზე .საკლასო სივრცეში მიღებული ცოდნა ფართოდ იშლება სასკოლო

პროექტებსა და არაფორმალურ აქტივობებში, რომელიც კონსტრუქტივისტულ მიდგომებს ეყრდნობა. კონტექსტმაგალითები საშუალებას იძლევა გააქტიურდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალები. სასკოლო პროექტები მიემართება მდგრადი განვითარების მიზნების შესწავლისკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესში სწავლის-სწავლას ექცევა დიდი ყურადღება. ამის დასტურად შეიძლება ჩავთვალოთ სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. წარმოდგენილი საბაზო საფეხურის თემატური მატრიცები და მასში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში დასმული მეტაკოგნიტური ხასიათის კითხვები მოსწავლეს აფიქრებს სასწავლო პროცესზე. კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. მოსწავლის მიერ გაკეთებული თვითშეფასება, დავალებების ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა, ეხმარება მოსწვალეს თვითგანვითარებაში.იმისათვის რომ მოხდეს სწავლის სწავლება, გამოყენებულია საკვანძო შეკითხვა, როგორც ჩვეულებრივ საგაკვეთილო პროცესში, ასევე კომპლექსური დავალებების შესრულებისას. მოსწავლეს სთავაზობს ისეთ აქტივობებს, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება მისი ცხოვრებისეული გამოცდილება. ასევე ხდება მასთან ერთად შესრულებილი დავალების ანალიზი , თუ რა ცოდნა და გამოცდილება მოუტანა წარმატებამ, რა არ გამოუვიდა. ხდება მოსწავლის მხარდაჭერა და მისი წახალისება, რომ მომავალში გააძლიეროს საკუთარი შემეცნების პროცესი .კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება მეტაგოგნიტური პაუზის ჩართვა.იგი ხელს უწყობს მეტაკოგნაციას, სწავლის-სწავლებას , განსაკუთრებით კარგად გამოიყენება სასწავლო პროცესში მეტაკოგნიტურ სქემები. მეტაკოგნიტური უნარების განვითარება ხდება ასევე სასკოლო პროექტებსა და სასწავლო კლუბებში,სადაც გაწერილია მოსწავლის მიერ განსახორციელებელი აქტივობა,მისი მიზნებით,შედეგებით და განსახორციელებელი პირობებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სასწავლო პროცესი ხელს უწყობს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა ჩანს საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესასრულებელ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში. სასწავლო პროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობასაც. წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეს ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებაში.სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ მასალას თემატური ერთეულის ფარგლებში. ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით ელექტრონული რესურსებიდან,სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით.

მაგალითად, უცხო ენაში ტექსტის დამუშავებისას მოსწავლემ იცის რა მოქმედებები განახორციელოს, როგორ წაიკითხოს, სად და როგორ მოძებნოს ახალი სიტყვები.პროცედურული ცოდნა ეს არის ყველაფერი, რაც კი ნასწავლი გვაქვს სწავლის სტრატეგიების შესახებ. პირობისეული ცოდნა კი მოითხოვს მოსწავლისგან ცოდნის მოქმედებაში გადატანას. ამის მტკიცებულებად სკოლას წარმოდგენილი აქვს სასწავლო პროექტები, მაგალითად, უცხო ენაში ეს არის პროექტი " იგავ-არაკების სანაყაროში" პროექტის მიზანი -- მოსწავლეებმა გაიუმჯობესონ ცოდნის დონე მხატვრულ ლიტერატურაში. გაეცნონ იგავ-არაკებს. გაიაზრონ მორალის მნიშვნელობა და კავშირი რეალურ ცხოვრებასთან. გაიმდიდრონ ლექსიკური მარაგი. გაიუმჯობესონ კითხვის, მსჯელობის, მოსმენის უნარი. .სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის გააზრებულად გამოყენება და არა ცალკეული კომპონენტების დაქუცმაცებულად სწავლა. ამის ნიმუშად შეიძლება წარმოვადგინოთ კომპლექსური დავალება, სადაც ჩანს ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარატიულის, პროცედურულის და პირობისეულის ) გამოყენება. კონტრუქტივისტულ პრინციპებზე დაფუძნებული კურიკულუმი მოზარდებს შესთავაზებს წინარე ცოდნა-გამოცდილებასთან დაკავშირებულ ნაცნობ, ცხოვრებისეულ კონტექსტებს და გამოიწვევს მათში უცნობის შესწავლისა და ახლის აღმოჩენის უნარების განვითარებას.მასწავლებელები მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსურ დავალებებსა და პროექტულ სწავლებას. მოსწავლეები კი კლასში მიღებულ თეორიულ ცოდნას იყენებენ პრაქტიკაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. საბაზო საფეხურზე ხორციელდება სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომების გამოყენება (აქტიური სწავლა-სწავლება, ცოდნის აგება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, სწავლის სწავლა, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება, აქცენტი გააზრებაზე და არა დამახსოვრებაზე) ცოდნათა ორგანიზებისა და ურთერთდაკავშირების მიზნით აქტიურად ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები და კომპლექსურ დავალებებს.მაგალითად:უცხო ენის კათედრას წარმოდგენილი აქვს ინტეგრირებული სასწავლო პროექტი "იგავ-არაკების სანაყაროში"(ინგლისური , ისტ, ხელოვნება. ქართული ენა) ,წიგნიერება- უცხოური ენის გამოყენება კითხვის წერის და მოსმენის უნარის გაუმჯობესების მიზნით. მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს და შეხედულებებს. ციფრული წიგნიერება - ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით დაამუშავებენ და გააფორმებენ ტექსტს რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარებას.უკვე განხორციელებული აქტივობებიდან ჩანს აღსანიშნავია ,ფილმის „ოლივერ ტვისტის"ნახვა,რის შემდეგაც გაიმართა დისკუსია ბავშვთა უფლებების შესახებ და მოსწავლეებმა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება მოახდინეს სამოქალქო განათლებასთან,ქართულ ენასთან და სასკოლო პროექტთან „მოსწავლის პიროვნული აღზრდა და ბავშვთა უფლებები." **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- შეფასების რუბრიკები;
- სასწავლო პროექტები ;
- საკონფერენციო თემა;
- სკოლის ოფიციალური სოციალური გვერდი .
- თემატური მატრიცები

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. ამ მასალების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). სკოლის საბაზო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.ამ ცოდნისკენ სვლა კი კონსრუქტივისტული სწავლის მეთოდებით ხორციელდება. ეს დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად და ასევე კურიკულუმში ასახული თემატური ერთეულის მატრიცით, კომპლექსური ბუნების დავალებებით. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით. მაგალითად ,მათემატიკაში მე-9 კლასის კომპლექსური დავალება „ფინანსური მათემატიკა“. თემატური ერთეული: რიცხვითი სიმრავლეები, სადაც ნათლად ჩანს მიმართებები სამიზნე ცნებებს, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საკითხსა და საკვანძო კითხვას შორის კონტექსტთან კავშირში.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და სოციო-ემციურ განვითარებას.მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შემდეგ სვამენ ისეთ კითხვებს რომელიც მოსწავლეს დააფიქრებს, სწავლის პროცესზე, მაგ: რას შეცვლიდი? რაში გამოიყენებ მიღებულ ცოდნას? რა გამოვიდა კარგად, რა არის ამის მიზეზი?... ისინი სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. მოსწავლეებისათვის შეთავაზებული კომპლექსური ბუნების დავალებები და აქტივობები ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რაც ააქტიურებს სწავლის პროცესს. შეფასების მექანიზმებში ჩართულია თანატოლთა შეფასების და თვითშეფასების ფორმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლის გადმოგზავნილ მასალებში მასალებში წარმოდგენილია მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის მიხედვით შედგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. გასაუბრებაზე აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეხმარება მასწავლებლებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაში და მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრაში რის საფუძველზეც გეგმავენ მოსწავლის პროგრესის გზას. სასურველია თუ უცხო ენისს კათედრაზე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმას მოარგებენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებს და შედეგებს **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან დავალების/ კომპლექსური დავლების შეფასების რუბრიკებს, რომლებიც ხშირად თვალსაჩინოდაა კედელზე გაკრული, რაც გამჭირვალობის, სანდოობისა დასტურია. სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ, მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთს და მსჯელობენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე, აკეთებენ თვითშეფასებას.პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების დახვეწასა და გამოყენებას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გასაუმჯობესებლად, პრობლემების იდენტიფიცირებისა და შემდგომი პროცესების დაგეგმვისთვის. მასწავლებლები გააგრძელებენ მუშაობას შეფასების მეთოდოლოგიაზე, შეფასების კრიტერიუმებზე. გაითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს, დააკვირდებიან და გამოკვეთენ, რომელ შედეგს მიემართება შეფასება. მოსწავლეებს წინასწარ ეცოდინებათ, თუ როგორ შეფასდება მათი ცოდნა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. შეფასება იქნება გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. თითოეული ქულა თუ განმავითარებელი შეფასება იქნება რეალისტური, კონკრეტული, დახვეწილი და არაორაზროვანი. ეს კი, თავის მხრივ, განსაზღვრავს შეფასების სანდოობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.წარმოდგენილ დოკუმენტებსა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი აქვს შემუშავებული.წარმოდგენილ დოკუმენტში გაწერილია შიდა ვერიფიკაციის საშუალებით ხარისხის უზრუნველყოფის წამყვანი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც დგინდება სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა კათედრებზე შემავალი თითოეული საგნის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებისა და მისი დამადასტურებელი მტკიცებულებების თავსებადობა საგნის სტანდარტთან.მისი მეშვეობით ხორციელდება სკოლაში მოქმედი კათედრების საგნობრივ ჯგუფის შემადგენლობაში შემავალი საგნების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტების სიღრმისეული, სხვადასხვა რაკურსით შესწავლა და აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამისი საგნის მასწავლებლებთან/კათედრების თავმჯდომარეებთან უკუკავშირის საფუძველზე, საგნის შეფასების ინსტრუმენტში ცვლილების შეტანა. დეტალურადაა გაწერილი შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის საქმიანობა , კერძოდ აღნიშნულია რომ :იგი ახდენს კონკრეტული საგნისთვისგანსახორციელებელი/განხორციელებული სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურის შესაბამისობის დადგენას, მისაღწევი/მიღწეული სწავლის შედეგების მიხედვით; შეისწავლის განსახორციელებელი/განხორციელებული, კონკრეტული საგნის სწავლის შედეგის/შედეგების შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივ მხარეს მისაღწევ/მიღწეულ სწავლის შედეგთან მიმართებით; აწარმოებს გამოკითხვებს სკოლის მოსწავლეთა კმაყოფილების, ასევე მასწავლებლების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებისა და მისი გამოყენების პროცესის შესახებ; უზრუნველყოფს შეფასების პროცესზე დასწრებას მისი გაკონტროლების მიზნით;შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის წარმომადგენლის შეფასების პროცესზე დასწრების ფაქტი დასტურდება შესაბამის უწყისზე ხელმოწერის ფაქტით; ამზადებს დასკვნის პროექტს და წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირების მიზნით. შესაბამისად სკოლის როგორც ადმინისტრაცია, ისე პედკოლექტივი გამოთქვამს მზაობას რომ ამ მიმართულებით 2023-2024 წელს კიდევ უფრო აქტიურად იმუშავებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა  და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად  გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებულმონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და  და მასალა ინახება მათი შემდგომი გამოყენების მიზნით.  კათედრებზე შენახულია 2022-23 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიერ შესრულებული  შემაჯამებელი დავალებები,  შემაჯამებელი დავალებების ანალიზი,  მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები,(ელ ჟურნალი), მოსწავლის პირადი საქმე . სამომავლოდ სკოლას აქვს მზაობა, რომ  უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტაციის შენახვა არანაკლებ 3 წლის ვადით..  **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- კომპლექსური დავალების ბარათები.
- განმავითარებელი  და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა.
- თემატური ერთეულის მატრიცები
- ვერიფიკაციის მექანიზმი

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. როგორც სკოლის  სასწავლო გეგმაშია აღნიშნული , მოსწავლემ განათლება  უნდა მიიღოს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში, ამავე დოკუმენტის მიხედვით, სკოლას მეთოდიკურ ორიენტირებად არჩეული აქვს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვა, მოსწავლის მოტივაციის გაზრდა,

დისციპლინის განვითარება და სასწავლო პროცესში  მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა, სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას,  სკოლისთვის პრიორიტეტულია  უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა და დასახუალია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი აქტივობები.სკოლას აქვს კარგად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო მცნიერებების კაბინეტი, სადაც შექმნილია მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემო. დირექციის მიერ შექმნილი განრიგის შესაბამისად ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის პედაგოგებს აქვთ შესაძლებლობა გაკვეთილები ჩაატარონ კაბინეტში. მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა საკითხზე შექმნილი ნაშრომები (მოდელები, მაკეტები, პოსტერები და სხვა), განთავსებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტში, საკლასო ოთახებშიდა სკოლის თავისუფალ სივრცეებში.  **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.  კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალების ნიმუშებიდან , სასკოლო თუ საგნობრივი პროექტებიდან , ასევე სკოლის მიერ მოწოდებული 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმიდან  გამომდინარე, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა- სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი,  რომლებსაც ეფუძნება სასწავლო პროცესი,  შემიძლია დავასკვნა, რომ სასწავლო პროცესი  სკოლაში წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. მოსწავლეთა სასკოლო გარემოში ადაპტაციაზე ზრუნავს სკოლაში შექმნილი ჯგუფი(ბრძ.N2-77), მოსწავლეებზე ზრუნვის თვალსაზრისისით მნიშვნელოვანია სკოლაში ტრანზაციის ჯგუფის არსებობა, რომელსაც გაწერილი აქვს მოსწავლეთა ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული  გეგმა.(ბრძ.N2-86). სკოლა ზრუნავს უსაფრთხო ფსიქო-ემოციური სასწავლო გარემოს ორგანიზებაზე (ბრძ.2-106). მოსწავლეებზე ზრუნვაა ის, რომ სკოლას აქვს ინდ. სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია(ბრძ.N2-74-1),აგრეთვე, სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების  მიწოდების რეგულაცია(ბრძ.N2-76-1)საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის სკოლა ზრუნავს პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვასა და კონსულტირებაზე(ბრძ.2-103).სკოლაში აქტიურად მუშაობს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭრის ჯგუფი(ბრძ. 2-87), სკოლა რეგულარულად ზრუნავს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე.(ბრძ. 2-51).
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრა ხდება სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესების გათვალისწინებით.  წლის განმავლობაში კათედრის სხდომებზე მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. განსაზღვრავენ  წარმატებების წინაპირობებს და ერთად სახავენ

პრობლემის გადაჭრის გზებს. სკოლაში დანერგილია „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი. პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, ხვდებიან ერთმანეთს, უზიარებენ გამოცდილებას, მსჯელობენ, რა მეთოდებით მიაღწევენ მიზანს.ინტერვიუს დროს სკოლის წამყვანი და მენტორი მასწავლებლები აღნიშნავენ კოლეგათა საჭიროებების დასადგენად და მათ მხარდასაჭერად განხორციელებული აქტივობების შესახებ. სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა და სხვა პერსონალთა ადაპტაციის წესი(ბრძ.2-98), სკოლას გაწერილი აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება(ბრძ. 2-102), მშობლებთან აქტიური კომუნიკაცია მათ მიერ განხილული კომპლექსური დავალების ბარათები და რეკომენდაციები ცხადყოფს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური სასწავლო გარემო. როგორც სკოლის 2023-2024 სასწავლო გეგმაშია აღნიშნული, მოსწავლემ განათლება უნდა მიიღოს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში, ასევე იმავე დოკუმენტშია აღნიშნული, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას, სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა და დასახულია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი აქტივობები, სკოლას აქვს მრავალფეროვანი თემატიკით წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამა, განსახილველი თემები ირჩევა მოსწავლეთა ასაკისა და ინტერესის გათვალისწინებით, თემის განხილვის შემდეგ იმართება დისკუსია, მოსწავლეები წერენ საკუთარ მოსაზრებებს, ცდილობენ, სასიკეთო ზეგავლენა იქონიონ ერთმანეთზე, რჩევითა და დახმარებით დააძლევინონ ერთიმეორეს წინააღმდეგობები . აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ სკოლაში მეტწილად უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. მასწავლებლები ზრუნავენ შექმნან ისეთი გარემო, სადაც ხელი შეეწყობა თითოეული პედაგოგის წინსვლასა და წარმატებას ,ამისათვის სკოლაში დანერგილია ,,კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“, მასწავლებლები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე, იკრიბებიან, მსჯელობენ, აძლევენ კოლეგებს უკუკავშირს.პოზიტიური სასკოლო კლიმატი გამოიკვეთა გასაუბრების დროსაც, პედაგოგები ერთმანეთის მიღწევებზე საუბრობენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმები;
- ინდ. სასწავლო გეგმები;
- სადამრიგებლო პროგრამები და ჩატარებული სადამრიგებლო საათების ამსახველი მასალა;
- სასკოლო პროექტები/ღონისძიებები;
- ბრძანებაN2-102- საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულების დამტკიცების შესახებ;
- ბრძანებაN2-103- საჯარო სკოლის პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანებაN2-74-1- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დებულების დამტკიცების შესახებ.;
- ბრძ.2-76-1 - სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დებულების დამტკიცების შესახებ;
- ბრძ.N2-77- მოსწავლეთა ადაპტაციის წესის დამტკიცებისა და მოსწავლეთა ადაპტაციაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;.
- ბრძ.N2-87- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის ჯგუფისა და სკოლაში მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭრის წესის დამტკიცების შესახებ.;
- ბრძ.N2-98- სკოლის პერსონალის ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ;
- ბრძ.N2-106 - სკოლის მოსწავლეთა უსაფრთხო ფსიქო-ემოციური სასწავლო გარემოს ორგანიზების სამუშაო რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებასა და დანერგვაში ჩართულია საბაზო საფეხურის  მასწავლებლები. განხორციელების პროცესს აკვირდებიან კათედრის წევრები, ასევე სკოლაში არსებული ხარისხის განვითარების ჯგუფი. მათივე ინფორმაციით ,ისინი ინტენსიურად თანამშრომლებენ ერთმანეთთან, ერთობლივად გეგმავენ სასწვლო პროცესს, აკვირდებიან ერთმანეთის მუშაობას სწავლა- სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, როგორც კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიითაა განსაზღვრული. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და  მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა  ასევე ცალსახად გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-

სწვალების პროცესის გაუმჯობესებისათვის, განსაზღვრავს ინდიკატორებს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაზომოს როგორც პროცესი, რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე შედეგები და პასუხი გასცეს კითხვებს: მიმდინარეობს თუ არა აქტივობები დაგეგმილის მიხედვით? მოახდინა თუ არა ცვლილება პროგრამის აქტივობებმა? აგრეთვე მონაცემთა შეგროვების მეთოდები და ვადები, როლები და პასუხისმგებლობები, ანალიზისა და ანგარიშგების გეგმა, რომლის ბოლო ელემენტიც აღწერს, თუ როგორ აისახება შედეგები კურიკულუმის განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების თვალსაზრისით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარებისათვის როგორც კათედრების, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის წევრები ესწრებიან ჩატარებულ გაკვეთილებს. აძლევენ უკუკავშირს პედაგოგებს. ჩატარებული გაკვეთილების ანალიზის შედეგად ადგენენ არსებულ ხარვეზებს და ერთობლივად ეძებენ გადაჭრის გზებს . მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა , ასევე თვითშეფასება ეხმარება მათ გამოიკვეთონ რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. საბაზო საფეხურის საგნობრივ კათედრებს განსაზღვრული აქვთ დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი მოსწავლეთა შეფასებისათვის და შემგდომი მხარდაჭერისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა ,რომ საბაზო საფეხურის კლასის მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ საინტერესო მეთოდებსა და სტრატეგიების გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებს, აფასებენ მოსწავლეთა ნაშრომებს და სხვა, ამით ახდენენ კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. კათედრის სხდომებზე და სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე ახდენენ ანალიზს რამდენად ეფექტურია მიდგომები და ერთობლივად ეძებენ პრობლემების გადასაჭრელ გზებს. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მომავალში შეფასებასთან წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად გეგმავენ კვლევით აქტივობებს, რომლის ანალიზის შედეგებს ასახავენ სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში.სკოლის პრობლემების მონიტორინგის და შეფასების განსაზღვრის იდენტიფიცირების შემდეგ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს კონკრეტულ ნაბიჯებს კონკრეტული მიზნებისათვის განსაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურები. სასურველია თუ სპორტის მიმართულებით განახორციელებენ დიაგნოსტიკურ შეფასებას,ამისათვის კი შეიმუშაონ სადიაგნოსტიკო კვლევის გეგმა და მიზნის მისაღწევად საჭიროების მიხედვით შეადგინონ ანალიზი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა ;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის პოლიტიკა ;
- ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის დებულება .

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი, რომ ესაა ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; აქ მოიაზრება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, როგორც წყარო, ასევე სხვადასხვა

დოკუმენტური, სტატისტიკური, ფინანსური თუ სხვა ტიპის რესურსი  და თვითშეფასების ინსტრუმენტები, ინტერვიუ მოსწავლესთან, მოკლე ჩანაწერები, პრეზენტაციების შეფასება, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები და ა.შ.ჩანს, რომ სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, როლებიც მიმართულია სხვადასხვა ტიპის შემსწავლელთა გამოვლენისა და მათ საჭიროებებზე მორგებული დავალებების შექმნისაკენ. განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები ცხადყოფს, რომ მასწავლებლები ცდილობენ მის დაგეგმვას იმგვარად, რომ მონაცემების შეგროვება მოხდეს მრავალფეროვანი მეთოდებით,  სხვადასხვა წყაროსა  და რესურსის გამოყენებით, რაც შეამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და შესაძლებლობას მისცემს მათ სრული სურათის წარმოსადგენად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს  მზაობა სასწავლო პროცესის შეფასება  განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას.  ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა.შ.  სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სწორედ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და  ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება.  პედაგოგები გასაუბრებაზე აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია გაითვალისწინონ  მასწავლებლის პროფესიული მზაობა და მისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაც, რომლის მიზანიც იქნება  შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, აუცილებლად კონტექსტის გათვალისწინებით, ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას, კიდევ უფრო  დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები. შეფასების მრავალი კონტექსტის გათვალისწინების თაობაზე გაწერილია სკოლის თვითშეფასების დოკუმენტშიც . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლა იყენებს  ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდებს,რაც შეფასებისასდმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. საბაზო საფეხურზე  გამოყენებულია მოსწავლეთა როგორც  განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკები. მიღებული ინფორმაცია ეხმარება პედაგოგებს  სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესის და მოსწავლის აკადემიური მიღწევის გამუჯობესებაში. მნიშვნელოვანია შეგროვებისას

გავითვალიწინებულ იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები, რაც სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმას უზრუნველყოფს. ინტერვიუს შედეგად ვლინდება, რომ სკოლას და კათედრის წევრებს აქვთ გარკვეული ხედვა, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხორციელდება შეფასება მრავალი მეთოდების გამოყენებით, თუმცა მონაცემთა შეგროვებისათვის, სასურველია, გამოყენებული იქნას სოციალური კვლევების მეთოდები ფართო სპექტრი, როგორიც არის ინტერვიუ, სატელეფონო ინტერვიუ, გამოკითხვა, ფოკუს-ჯგუფი, არაფორმალური გასაუბრება, დაკვირვება და შემუშავდეს შესაბამისი ინსტრუმენტები მაგალითად, ინტერვიუს გაიდი, ჩანაწერები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.. სკოლის პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. პედაგოგები მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის სასწავლო შედეგებთან დაკავშირებით და სხვ. 2023 – 2024 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს უფრო მეტად კომპლექსური,მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით , რომლის დროსაც მოხდება მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი.ეს მიდგომა  კი გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის  ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, სკოლაში მიმდინარე ნებისმიერი პროცესისა თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. უმჯობესი იქნება  ესთეტიკის კათდრაზე გამოიკვეთოს თუ რა საშუალებების გამოყენებით ხორციელდება ანალიზი და კონკრეტულად რომელი ფაქტორების იდენტიფიცირება ხდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმი;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების დოკუმენტი;

- შეფასების რუბრიკები.
- სასკოლო სასწავლო გეგმა ;
- კათედრის ოქმები .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის-განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ საბაზო საფეხურზე ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად და ჩაიშლება განახლებულ კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმაში. ამის დასტურია კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები. მასწავლებლებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ ეს პრინციპები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმის პროცესში და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად იღებს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ შემუშავებული საბაზო საფეხურის კურიკულუმის ვერსია გარკვეულწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას, რადგან სკოლაში არსებობს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, ეს შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს კურიკულუმების გადასინჯვა და მისი გაუმჯობესება; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მომდევნო წლის კურიკულუმი მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების გათვალისწინებით იქნება შემუშავებული, შესაბამისად დაეფუძნება წინარე გამოცდილებას. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, რაც კათედრის წევრებთან გასაუბრებიდანაც დასტურდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის  შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საბაზო  საფეხურის კურიკულუმები;
- კათედრის ოქმები ;
- მასწავლებლის წლიური ანგარიშები

შეფასება:

- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (საშუალო საფეხური)**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას შემუშავებული აქვს  კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებელობებს და პრიორიტეტებს. გასულ, 2022-2023 სასწავლო წელს ავტორიზაციის საკითხებთან დაკავშირებით ქოუჩებთან კონსულტაციის შედეგად პედაგოგეგბმა კათედრებზე შეიმუშავეს საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, რომლის განხორციელებაც დაიწყო მიმდინარე სასწავლო წლის 15 სექტემბრიდან. კათედრები გეგმავენ მუდმივად იზრუნონ კურიკულუმის ჩარჩოების დახვეწასა და გაუმჯობესებაზე. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები, რომელზე დაფუძნებითაც განხორციელებული სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რადგანაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობები. სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის განხორციელება ხდება სკოლის სხვადასხვა საინფორმაციო არხებით, როგორიცაა ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები, პირისპირ და საჯარო შეხვედრები. კათედრის წევრები სასწავლო წლის ბოლოს ერთობლივად აანალიზებენ მთელი წლის განმავლობაში შეგროვებულ მონაცემებს, მოსწავლეთა შედეგებს, განხორციელებული კომპლექსური დავალებებისა და პროექტების მიხედვით. ასევე განიხილავენ მშობელთა ჩართულობით განხორციელებულ აქტივობებს. ანალიზით ადგენენ მოსწავლეთა საჭიროებებს, შესაძლებლობებს, ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს, განსხვავებულ ხედვებს და ასე შეიმუშავებენ

მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ისინი სამომავლოდ გამოკითხვებითა და კვლევებით შეისწავლიან სასკოლო საზოგადოების - მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესებს. სიღრმისეულად დაადგენენ საჭიროებებსა და განსავითარებელ მხარეებს, რომელსაც ასახავენ საგნობრივ კურიკულუმებში. საშუალო საფეხურის თითოეული საგნის პედაგოგს კურიკულუმის მეთოდოლოგიის შემუშავების მთავარ გამოწვევად მიაჩნია განმავითარებელი შეფასების განვითარება და დახვეწა, კომპლექსური ტიპის დავალებების სასწავლო პროცესში აქტიურად გამოყენება და სასკოლო საზოგადოების მეტად ჩართვა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ესთეტიკის კათედრის პედგოგთა მოსაზრებით კურიკულუმის ჩარჩოს შექმნის პროცესში გათვალისწინებულია განსხვავებული ხედვები და პრიორიტეტები,რაც ძალზედ მნიშვნელოვანია.საშუალო საფეხურზე ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის (რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია) და პედაგოგებთან ინტერვიუს გზით დგინდება, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებული და ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები და მოლოდინები. პედაგოგები გამოცდილებაზე დაყრდნობით სისტემატურად მუშაობენ კურიკულუმში შესატან ცვლილებებზე, რათა მოხდეს წინა წლის შედეგების გაუმჯობესება. მოსწავლეების ვერბალური გამოკითხვის გზით, პედაგოგები ადგენენ მათ ინტერესებს კომპლექსური დავალების ტიპებთან და განხორციელების ეტაპებთან დაკავშირებით. კურიკულუმზე მუშობის პროცესში საგნობრივი კათედრის წევრები საგნების შესაბამისად აანალიზებენ სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებულ სასწავლო პროცესებზე დაკვირვებების შედეგებსა და მიგნებებს, ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოებასთან, მშობლებთან კომუნიკაციის შედეგად მიღებულ უკუკავშირს, რაზე დაყრდნობითაც გამოკვეთეს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და ასახეს საგნობრივ კურიკულუმებში. მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და ასაკობრივი თავისებურებები. ესთეტიკის კათედრის პედაგოგთა მოსაზრებით სასკოლო საზოგადოების ინტერესებიდან საშუალო საფეხურზე  დიდი ყურადღება ეთმობა არაფორმალურ განათლებას,პროექტებს.  მეათე კლასში საგან ხელოვნებაში განხორციელებული ორივე პროექტი ძალზედ აქტუალურია და საშუალებას მისცემს მოსწავლეებს მოახდინონ მიღებული ცოდნის ტრანსფერი.სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები,

შეხედულებები, შესაძლებლობები და  პრიორიტეტები ,რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს საქმიანობა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. ,,სასურველია გადაიხედოს და კიდევ გაუმჯობესდეს მისი შემუშავების მეთოდოლოგია '-ეს არის ამონარიდი სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან.მაშასადამე,სკოლა რეალურად აფასებს ამჟამინდელ მოცემულობას და შემდგომი განვითარების გზებს სახავს.პროცესს ხედავს დინამიკაში. ინდიკატორი შესაბამისობაშია. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საგნობრივი კურიკულუმები სასკოლო საზოგადოების ინტერესებზეა ორიენტირებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით ,სკოლის ვებგვერდის საშუალებით და  პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. აღნიშნულ პროცესში  ჩართულია კათედრის თითოეული წევრი. კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების წარმოდგენილ დოკუმენტში, (რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია) გაწერილია მასწავლებლების, კათედრის თავჯდომარეების, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სასწავლო თემებზე მუშაობისას პედაგოგი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს მოსწავლეთა მშობლებს, იძიებს გზებს და ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო მეტად ჩართვისთვის. ასევე ინფორმაციის გაცვლა ხდება სხვა საგნობრივი კათედრების წევრებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან. კურიკულუმში არჩევითი საგნების შერჩევაში მონაწილეობენ თავად მოსწავლეები. მასწავლებლებს მშობლებთან აქტიური კომუნიკაცია ეხმარებათ მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების დაზუსტებაში, რასაც ასახავენ საგნობრივ კურიკულუმებში. ამის გათვალისწინებით სავალდებულო თემებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები და სამიზნე ცოდნაზე ორიენტირებული კონტექსტ მაგალითები, შედარების მაგალითები, მოსწავლეთა ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით შერჩეულია საინტერესო კომპლექსური დავალებები. სკოლაში საშუალო საფეხურის თითოეულ საგანში მოსწავლეებს აქვთ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის უნარ-ჩვევები და მრავალფეროვანი პროდუქტების  (პოსტერი, ბუკლეტი, PPT პრეზენტაცია, ესსე და სხვა) შექმნის გამოცდილება. ამრიგად, კურიკულუმის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.  **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტისა და პედაგოგების ინტერვიუირების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის, ხდება კათედრათა შორის ინფორმაციის გაცვლა

და თანამშრომლობა. უკუკავშირის მიღების მიზნით მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდება დაგეგმილი კომპლექსური დავალებებისა და შეფასების რუბრიკების შესახებ. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებული ვარიანტი სკოლაში განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე, ასევე გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე, რომელიც ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია. სკოლა მშობლებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად ასევე იყენებს მათთან პირისპირ შეხვედრებს ან/და სოციალურ ქსელებს. დამრიგებლების მიერ მშობელთა ინფორმირება ხდება მშობელთა კრებებზე. სადამრიგებლო საათზე კი მოსწავლეები ეცნობიან ინფორმაციას კურიკულუმის ძირითადი ნაწილების და კომპლექსური დავალებების შესახებ. მიმდინარე სასწავლო წლიდან სკოლა მეტად გააქტიურებს მოსწავლეებთან და მშობლებთან კომუნიკაციას, სკოლის ვებგვრდზე განათავსებს ყველა საჯარო დოკუმენტს, რაც გაუმჯობესებს მათ ხელმისაწვდომობას. აქედან გამომდინარე, სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- კითხვარები სასკოლო საზოგადოებისთვის ;
- საინფორმაციო დაფაზე გამოკრული დოკუმენტაცია;
- დამრიგებლების მოხსენებითი ბარათები
- მშობელთა კრების ოქმები

**2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** წარმოდგენილი კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ის ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და ითვალისწინებს იმ ძირითად პრინციპს, რაც მასშია მოთხოვნილი - დაგეგმილი აქტივობებით და კომპლექსური დავალებებით აქცენტი კეთდება მოსწავლის ძლიერი მხარის წამოწევაზე, წინარე ცოდნის გააქტიურებაზე და მოტივაციის ამაღლებაზე. ასევე გათვალისწინებულია ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი. ის რომ მოსწავლე სწავლების პროცესში მთავარი სუბიექტია იკვეთება მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმეს სწორედ მოსწავლეთა შედეგების, ინტერესების გათვალისწინებით, შუალედურ სასწავლო მიზნებში ასახული შეფასების კრიტერიუმები და შესაქმნელი პროდუქტები მორგებულია მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, ყურადღება გამახვილებულია არა მხოლოდ ცოდნის შეძენაზე, არამედ საჭირო უნარების გამომუშავებასა და ცოდნის ტრანსფერზე. მაგალითად, სკოლაში ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს უცხოური ენის კლუბი "English reading club" , რომლის მიზანია ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლების ხელშეწყობა; აქტიური მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების განვითარება;მოსწავლეთა ინიციატივების პროექტების სახით განხორციელება; ინტელექტუალური, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება. საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პირისპირ გასაუბრების დროს გამოიკვეთა ,რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე არსებობს გარკვეული ცოდნა და გამოცდილება, რაც პედაგოგებს დაეხმარათ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზის ამსახველი კურიკულუმების შემუშავებაში. აღნიშნული დასტურდება კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით ბიოლოგია, ქიმია და ფიზიკაში. სავალდებულო თემებიდან გამომდინარე მთავარ საკითხებზე შემუშავებულია კომპლექსური დავალების იდეები, შესაბამისი კონტექსტ მაგალითებით, შედარების მაგალითებითა და სასწავლო რესურსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.** სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის დოკუმენტები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში გაწერილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები, სკოლა ახლაც მუშაობს კომპლექსური დავალების პირობების განვითარებაზე, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება, მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით. საშუალო საფეხურის საგნებრივი კურიკულუმები ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე.კურიულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ფაქტების ანალიზს, იდეების გენერირებასა და ორგანიზებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, არგუმენტების შეფასებასა და პრობლემების გადაჭრას მოითხოვს ,ისევე, როგორც თავისუფლად აზროვნებასა და შემოქმედებითობას. განსაზღვრულია დავალებები ინდივიდუალური მუშაობისა და მცირე ჯგუფებში განხილვისთვის, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში საკომუნიკაციო და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას.სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე თუ შემუშავებული კურიკულუმები მათი მხრიდან მორგებული უფრ მეტად იქნება მორგებული მოსწავლეების შესაძლებლობებს, უნარებს, მისწრაფებებს. გათვალისწინებული იქნება ესგ-ის მოთხოვნები, კერძოდ გრძელვადიანი მიზნების განხორციელების აუცილებლობის მნიშვნელობა და შუალედური სასწავლო მიზნებთან (კომპლექსური დავალებები) მათი უშუალო კავშირი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3.** სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების ხედვა, ინდივიდუალური მიდგომები, ყოველი მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და მოტივაციის გზები, წინარე ცოდნის

გათვალისიწინება და მასზე ახალი მასალის დაფუძნების გზები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით სასწავლო პროცესში იკითხება დიფერენცირებული მიდგომები: გარემო, პროცესი, შინაარსი, პროდუქტი. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით პედაგოგის მიერ შემუშავებული კომპლექსური დავალებების პირობით მოსწავლეებს ეძლევათ ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას სხვადასხვა არჩევანის შესაძლებლობა, ასევე საბოლოო პროდუქტიც შეუძლიათ წარმოადგინონ მრავალფეროვანი სახით: (ნახატი, ილუსტრაცია, პრეზენტაცია, რუკა, პოსტერი, საინფორმაციო ბუკლეტი და ა.შ.). სკოლაში დიფერნცირებულ მიდგომებს იყენებენ მოსწავლეთა და პედაგოგთა შეფასების დროსაც, მაგალითად საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის პედაგოგებმა პირისპირ ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები აკეთებენ თვითშეფასებას და ურთიერთშეფასებას - აფასებს საკუთარ და ერთმანეთის ცოდნას. სასწავლო წლის ბოლოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის პედაგოგები აფასებენ მოსწავლის აქტუალურ ცოდნის დონეს, მის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასევე მოცემულია სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავების მექანიზმები.ადგილზე ვიზიტისას დადგინდა ,რომ სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის კარგი პრაქტიკა, ჰყავს სპეც. მასწავლებელი და ასისტენტი. პედაგოგებს აქვთ სასწავლო გეგმის მოდიფიცირების მზაობა. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი, რომელიც კარგადაა აღჭურვილი საჭირო რესურსებით. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. ეს ყველაფერი კი უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4.** სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია საშუალო საფეხურისთვის როგორც განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასებისთვის სკოლამ მომავალ წელს შეარჩია შეფასების პირველი მოდელი, ანუ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებების შეფასება განმსაზღვრელი ნიშნით. წარმოდგენილია საკლასო სამუშაოს, საშინაო დავალების, შემაჯამებელი წერის და სხვადასხვა აქტივობის შემთხვევაში მოსწავლის შეფასების რუბრიკები. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ ანალოგიური რუბრიკებით იხელმძღვანელებენ სხვადასხვა კონკრეტული სამუშაოს შეფასების დროსაც. საშუალო საფეხურზე ესთეტიკის კათედრაზე პროექტული სწავლება განმავითარებელი შეფასებით ფასდება.შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებისკენ,თუმცა უცხო ენის კათედრის პედაგოგებს მიეცათ რჩევა ,რომ სასურველია უფრო დაიხვეწოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ,ასევე შემაჯამებელი დავალებების ანალიზი განახორციელონ

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების და შედეგების მიმართებით.უმჯობესი იქნება თუ შეფასების რუბრიკები იქნება ყველა თემის ფარგლებში **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლაში არსებობს წინარე გამოცდილების ანალიზის პრაქტიკა: კათედრის წევრების ინდივიდუალურ ანგარიშებზე დაყრდნობით კათედრის ანგარიშის შედგენა. ანგარიში მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და სხვა. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ხდება არსებული მდგომარეობის შეფასება, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რასაც ეფუძნება კათედრის სამუშაო გეგმა და შემდეგ, სასკოლო სასწავლო გეგმაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- სტრატეგიული დაგეგმარების კითხვარები ;
- ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება ;
- ისგ-ს შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- კლუბების დოკუმენტაცია;
- განმავითარებელი შფასების რუბრიკები ;

- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები .

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2.კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია საშუალო საფეხურის მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები, და იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას, მე-10, მე-11, მე-12 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თავისი ფორმითა და შინაარსით ორიენტირებულია მოსწავლეზე და მოითხოვს აქტიურ შემოქმედებით ჩართულობას. საშუალებას აძლევს მოსწავლეს გაიფართოვოს თვალსაწიერი, იმსჯელოს, დაფიქრდეს პრობლემის გადაჭრის გზაზე, შეძლოს პრობლემის სხვადასხვა პერპექტივიდან დანახვა და შეფასება , დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებს დასჭირდებათ ორიგინალური და ახალი იდეის მოფიქრება, იდეების განვითარება,რაც ხელს შეუწყობს მოტივაციის ზრდას და სააზროვნო უნარების კიდევ უფრო გააქტიურებას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების შესრულება მოსწავლეებში განავითარებს ფანტაზიისა და შემოქმედებით უნარებს. ამ პროცესში დაიბადება ახალი იდეები.მაგალითაად ა ასეთი დავალებებიდან შეიძლება ავღნიშნოთ მეორე უცხო ენაში მე-11 კლასის მოსწავლეებმა ქ. ვანის კულტურის ცენტრში წარადგინეს პრეზენტაცია თემაზე ქ. ვანის ღირსშესანიშნაობები ,, Достопримечательности города Вани". სკოლის პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მათთვის ხელშეწყობა ხდება პედაგოგების მიერ მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით. მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი.სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ სისტემატიურად ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება-რეალიზება. თავად პროექტული ტიპის სწავლება იმთავითვე ითვალისწინებს მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას.საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან შემოქმედებით პროცესებში. კათედრის მიერ საშუალო საფეხურზე ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში არაერთი პროექტი განხორციელდა. კერძოდ, ფიზიკის მიმართულებით - სკოლა სამი წლის განმავლობაში მონაწილეობას იღებდა ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ ინიციატირების კონკურსში, სადაც წარადგინეს ,,მეხანძრის ცეცხლგამძლე კოსტუმი", რისთვისაც მეორე ადგილი დაიმსახურეს. სტემის ფარგლებში განახორციელეს ინტეგრირებული პროექტი ქიმიასთან ,,წებოს დამზადება", ,,მეორადი ქაღალდის შექმნა" (რომლის გამოყენებითაც შექმნეს მაკეტი ,,ეკოლოგიურად სუფთა

ქალაქი”), დაამზადეს პლასმასი, შექმნეს მარტივი მანქანის მოდელი, რომელიც არის მუშა მდგომარეობაში - შეუძლია გადაადგილება. გეგმავენ მანქანას დაუმატონ მოძრაობის დროს ხმოვანი შეტყობინების ფუნქცია. ხელოვნებასთან ფიზიკის ინტეგრირებით დაამზადეს ფერადი განათებებით გაფორმებული საახალწლო მისალოცი ბარათები. ამჟამად მუშაობენ მოძრავი გემის მაკეტის შექმნაზე. მეათე კლასის მოსწავლეთა ჩართულობით განხორციელდა პროექტი ,,ქიმიური ნივთიერებებით გამოწვეული დაბინძურების პრობლემები”. ბიოლოგიის მიმართულებით - სასკოლო პროექტი ,,ნუ მოჭრი ხეს”, იგივე პროექტის ფარგლებში დარგეს მრავალწლოვანი ხე მცენარეები. ჩაერთვნენ პროექტში ,,დედამიწა, ჩემი სახლია” - ,,რა ზიანს აყენებს ბუნებას ყოველი დახეული ფურცელი”. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2**. საბაზო საფეხურის მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას, მის თანდათანობით მიყვანას ახალ ცოდნამდე. ეს ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ; სასწავლო პროექტებში; მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებში, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები; მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზები, რაც ადასტურებს იმას , რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას მოსწავლის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. ცხოვრებისეულ კონტექსტებზე დაყრდნობით შერჩეული კონტექსტმაგალითები, რაც მოსწავლისათვის ნაცნობია, დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, თემები იმგვარად არის შერჩული , რომ წარმოადგენს მოსწავლისათვის აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის , ამას ხელს უწყობს კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობა, რომლის შესრულებისას მოსწავლეს უწევს პრობლემის გადაჭრა ,ეწევს ანალოგიის შექმნა და საბოლოოდ გამოდის საინტერესო პროდუქტი. ასეთია, მაგალითად უცხო ენაში დიალოგის წარმართვა მაღაზიაში, ზოომაღაზიაში, კაფეში, საცხოვრებელი ადგილის შესახებ ბუკლეტის შექმნა, პრეზენტაცია საყვარელი ცხოველის შესახებ, თინეიჯერების და მშობლების პრობლემების,იდეალური სკოლის შესახებ, საყვარელი წელიწადის დროის შესახებ , პატარა სამეზობლოს შექმნა მაინკრაფტში და მრავალი სახის დავალებები.საკლასო სივრცეში მიღებული ცოდნა ფართოდ იშლება სასკოლო პროექტებსა და არაფორმალურ აქტივობებში, რომელიც კონსტრუქტივისტულ მიდგომებს ეყრდნობა. კონტექსტმაგალითები საშუალებას იძლევა გააქტიურდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალები. სასკოლო პროექტები მიემართება მდგრადი განვითარების მიზნების შესწავლისკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3.**სასწავლო პროცესში სწავლის-სწავლას ექცევა დიდი ყურადღება. ამის დასტურად შეიძლება ჩავთვალოთ სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. წარმოდგენილი საშუალო საფეხურის თემატური მატრიცები და მასში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში დასმული მეტაკოგნიტური ხასიათის კითხვები მოსწავლეს აფიქრებს სასწავლო პროცესზე. კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები. მოსწავლის მიერ გაკეთებული თვითშეფასება, დავალებების ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა, ეხმარება მოსწვალეს თვითგანვითარებაში.იმისათვის რომ მოხდეს სწავლის სწავლება, გამოყენებულია საკვანძო შეკითხვა, როგორც ჩვეულებრივ საგაკვეთილო პროცესში, ასევე კომპლექსური დავალებების შესრულებისას. მოსწავლეს სთავაზობს ისეთ აქტივობებს, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება მისი ცხოვრებისეული გამოცდილება. ასევე ხდება მასთან ერთად შესრულებილი დავალების ანალიზი , თუ რა ცოდნა და გამოცდილება მოუტანა წარმატებამ, რა არ გამოუვიდა. ხდება მოსწავლის მხარდაჭერა და მისი წახალისება, რომ მომავალში გააძლიეროს საკუთარი შემეცნების პროცესი .კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება მეტაგოგნიტური პაუზის ჩართვა.იგი ხელს უწყობს მეტაკოგნაციას, სწავლის-სწავლებას , განსაკუთრებით კარგად გამოიყენება სასწავლო პროცესში მეტაკოგნიტურ სქემები. მეტაკოგნიტური უნარების განვითარება ხდება ასევე სასკოლო პროექტებსა და სასწავლო კლუბებში,სადაც გაწერილია მოსწავლის მიერ განსახორციელებელი აქტივობა,მისი მიზნებით,შედეგებით და განსახორციელებელი პირობებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4.** სასწავლო პროცესი ხელს უწყობს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა ჩანს საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესასრულებელ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში. სასწავლო პროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობასაც. წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეს ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებაში.სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ

მასალას თემატური ერთეულის ფარგლებში. ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით ელექტრონული რესურსებიდან.სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. მაგალითად, უცხო ენაში ტექსტის დამუშავებისას მოსწავლემ იცის რა მოქმედებები განახორციელოს, როგორ წაიკითხოს, სად და როგორ მოძებნოს ახალი სიტყვები.<u>პროცედურული ცოდნა</u> ეს არის ყველაფერი, რაც კი ნასწავლი გვაქვს სწავლის სტრატეგიების შესახებ. <u>პირობისეული ცოდნა</u> კი მოითხოვს მოსწავლისგან ცოდნის მოქმედებაში გადატანას. ამის მტკიცებულებად სკოლას წარმოდგენილი აქვს სასწავლო პროექტები,კლუბები, გაკვეთილები. მაგალითად, ,,წიგნის კლუბში განხორციელებული პროექტი ,,ჩემი უფლება ჩემი თავისუფლებაა''. აქ გაეცნენ იორდანიის დასავლეთ სანაპიროზე ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტებს, გაიაზრეს პრობლემა,რომელიც დამახასიათებელი იყო არა მხოლოდ კონკრეტული სახელმწიფოსთვის, არამედ იყო ზოგადსაკაცობრიო. მოსწავლეებმა შექმნეს სხვადასხვა პროდუქტი- კონკრეტულად ჩაწერეს წარმოსახვითი ინტერვიუები, შექმნეს ელექტრონული გაზეთი, ჩაწერეს პოდკასტები, რომლებშიც ისაუბრეს ქალთა უფლებების დარღვევის მნიშვნელოვან ასპექტებზე...მოსწავლეებმა შექმნეს პრეზენტაციები და გააცნეს თემს ქალთა უფლებებოს დარღვევის ფაქტები. კონტრუქტივისტულ პრინციპებზე დაფუძნებული კურიკულუმი მოზარდებს შესთავაზებს წინარე ცოდნა-გამოცდილებასთან დაკავშირებულ ნაცნობ, ცხოვრებისეულ კონტექსტებს და გამოიწვევს მათში უცნობის შესწავლისა და ახლის აღმოჩენის უნარების განვითარებას.მასწავლებელები მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსურ დავალებებსა და პროექტულ სწავლებას. მოსწავლეები კი კლასში მიღებულ თეორიულ ცოდნას იყენებენ პრაქტიკაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**5.** საშუალო საფეხურზე ხორციელდება სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომების გამოყენება (აქტიური სწავლა-სწავლება, ცოდნის აგება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, სწავლის სწავლა, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება, აქცენტი გააზრებაზე და არა დამახსოვრებაზე) ცოდნათა ორგანიზებისა და ურთერთდაკავშირების მიზნით აქტიურად ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები და კომპლექსურ დავალებებს.მაგალითად:უცხო ენის კათედრას წარმოდგენილი აქვს ინტეგრირებული სასწავლო პროექტი "იგავ-არაკების სანაყაროში"(ინგლისური , ისტ, ხელოვნება. ქართული ენა) ,<u>წიგნიერება-</u> უცხოური ენის გამოყენება კითხვის წერის და მოსმენის უნარის გაუმჯობესების მიზნით. მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს და შეხედულებებს. <u>ციფრული წიგნიერება</u> - ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით დაამუშავებენ და გააფორმებენ ტექსტს რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარებას.უკვე განხორციელებული აქტივობებიდან ჩანს აღსანიშნავია ,ფილმის „ოლივერ ტვისტის"ნახვა,რის შემდეგაც გაიმართა

დისკუსია ბავშვთა უფლებების შესახებ და მოსწავლეებმა ცოდნის ორგანიზება  და ურთიერთდაკავშირება მოახდინეს სამოქალქო განათლებასთან,ქართულ ენასთან და სასკოლო პროექტთან „მოსწავლის პიროვნული აღზრდა და ბავშვთა უფლებები.“ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- თემატური მატრიცები;
- შეფასების რუბრიკები
- მკითხველთა კლუბი;
- უცხო ენის კლუბი;
- სასწავლო პროექტები.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. ამ მასალების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). სკოლის საშუალო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და სოციო-ემციურ განვითარებას.მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შემდეგ სვამენ ისეთ კითხვებს რომელიც მოსწავლეს დააფიქრებს, სწავლის

პროცესზე, მაგ: რას შეცვლიდი? რაში გამოიყენებ მიღებულ ცოდნას? რა გამოვიდა კარგად, რა არის ამის მიზეზი?... ისინი სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. მოსწავლეებისათვის შეთავაზებული კომპლექსური ბუნების დავალებები და აქტივობები ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რაც ააქტიურებს სწავლის პროცესს. შეფასების მექანიზმებში ჩართულია თანატოლთა შეფასების და თვითშეფასების ფორმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ გადმოგზავნილ მასალებში წარმოდგენილია მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის მიხედვით შედგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. გასაუბრებაზე აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეხმარება მასწავლებლებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაში და მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრაში რის საფუძველზეც გეგმავენ მოსწავლის პროგრესის გზას.სასურველია თუ უცხო ენის კათედრაზე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმას მოარგებენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებსა და შედეგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან დავალების/ კომპლექსური დავლების შეფასების რუბრიკებს, რომლებიც ხშირად თვალსაჩინოდაა კედელზე გაკრული, რაც გამჭირვალობის, სანდოობისა დასტურია. სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ, მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთს და მსჯელობენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე, აკეთებენ თვითშეფასებას.პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების დახვეწასა და გამოყენებას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გასაუმჯობესებლად, პრობლემების იდენტიფიცირებისა და შემდგომი პროცესების დაგეგმვისთვის. მასწავლებლები გააგრძელებენ მუშაობას შეფასების მეთოდოლოგიაზე, შეფასების კრიტერიუმებზე. გაითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს, დააკვირდებიან და გამოკვეთენ, რომელ შედეგს მიემართება შეფასება. მოსწავლეებს წინასწარ ეცოდინებათ, თუ როგორ შეფასდება მათი ცოდნა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. შეფასება იქნება გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. თითოეული ქულა თუ განმავითარებელი შეფასება იქნება

რეალისტური, კონკრეტული, დახვეწილი და არაორაზროვანი. ეს კი, თავის მხრივ, განსაზღვრავს შეფასების სანდოობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**5**.წარმოდგენილ დოკუმენტებსა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი აქვს შემუშავებული.წარმოდგენილ დოკუმენტში გაწერილია შიდა ვერიფიკაციის საშუალებით ხარისხის უზრუნველყოფის წამყვანი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც დგინდება სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა კათედრებზე შემავალი თითოეული საგნის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებისა და მისი დამადასტურებელი მტკიცებულებების თავსებადობა საგნის სტანდარტთან.მისი მეშვეობით ხორციელდება სკოლაში მოქმედი კათედრების საგნობრივ ჯგუფის შემადგენლობაში შემავალი საგნების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტების სიღრმისეული, სხვადასხვა რაკურსით შესწავლა და აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამისი საგნის მასწავლებლებთან/კათედრების თავმჯდომარეებთან უკუკავშირის საფუძველზე, საგნის შეფასების ინსტრუმენტში ცვლილების შეტანა. დეტალურადაა გაწერილი შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის საქმიანობა , კერძოდ აღნიშნულია რომ :იგი ახდენს კონკრეტული საგნისთვისგანსახორციელებელი/განხორციელებული სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურის შესაბამისობის დადგენას, მისაღწევი/მიღწეული სწავლის შედეგების მიხედვით; შეისწავლის განსახორციელებელი/განხორციელებული, კონკრეტული საგნის სწავლის შედეგის/შედეგების შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივ მხარეს მისაღწევ/მიღწეულ სწავლის შედეგთან მიმართებით; აწარმოებს გამოკითხვებს სკოლის მოსწავლეთა კმაყოფილების, ასევე მასწავლებლების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებისა და მისი გამოყენების პროცესის შესახებ; უზრუნველყოფს შეფასების პროცესზე დასწრებას მისი გაკონტროლების მიზნით;შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის წარმომადგენლის შეფასების პროცესზე დასწრების ფაქტი დასტურდება შესაბამის უწყისზე ხელმოწერის ფაქტით; ამზადებს დასკვნის პროექტს და წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირების მიზნით .შესაბამისად სკოლის როგორც ადმინისტრაცია, ისე პედკოლექტივი გამოთქვამს მზაობას რომ ამ მიმართულებით 2023-2024 წელს კიდევ უფრო აქტიურად იმუშავებს . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებულმონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და და მასალა ინახება მათი შემდგომი გამოყენების მიზნით. კათედრებზე შენახულია 2022-23 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური

დავალებები,(ელ ჟურნალი), მოსწავლის პირადი საქმე . სამომავლოდ სკოლას აქვს მზაობა, რომ უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტაციის შენახვა არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- კომპლექსური დავალების ბარათები.
- განმავითარებებლი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა.
- თემატური ერთეულის მატრიცები
- ვერიფიკაციის მექანიზმი

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. როგორც სკოლის  სასწავლო გეგმაშია აღნიშნული , მოსწავლემ განათლება  უნდა მიიღოს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში, ამავე დოკუმენტის მიხედვით, სკოლას მეთოდიკურ ორიენტირებად არჩეული აქვს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვა, მოსწავლის მოტივაციის გაზრდა, დისციპლინის განვითარება და სასწავლო პროცესში  მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა, სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას,  სკოლისთვის პრიორიტეტულია  უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა და დასახუალია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი აქტივობები.სკოლას აქვს კარგად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო მცნიერებების კაბინეტი, სადაც შექმნილია მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემო. დირექციის მიერ შექმნილი განრიგის შესაბამისად ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის პედაგოგებს აქვთ შესაძლებლობა გაკვეთილები ჩაატარონ კაბინეტში. მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა საკითხზე შექმნილი ნაშრომები (მოდელები, მაკეტები, პოსტერები და სხვა), განთავსებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტში, საკლასო ოთახებშიდა სკოლის თავისუფალ სივრცეებში.  **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.  კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალების ნიმუშებიდან , სასკოლო თუ საგნობრივი პროექტებიდან , ასევე სკოლის მიერ მოწოდებული 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმიდან  გამომდინარე, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა- სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი,  რომლებსაც ეფუძნება სასწავლო პროცესი,  აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ ,რომ სასწავლო პროცესი  სკოლაში წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. მოსწავლეთა სასკოლო გარემოში ადაპტაციაზე ზრუნავს სკოლაში შექმნილი ჯგუფი(ბრძ.N2-77), მოსწავლეებზე ზრუნვის თვალსაზრისისით მნიშვნელოვანია სკოლაში ტრანზაციის ჯგუფის არსებობა, რომელსაც გაწერილი აქვს მოსწავლეთა ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული  გეგმა.(ბრძ.N2-86). სკოლა ზრუნავს უსაფრთხო ფსიქო-ემოციური სასწავლო გარემოს ორგანიზებაზე (ბრძ.2-106). მოსწავლეებზე ზრუნვაა ის, რომ სკოლას აქვს ინდ. სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია(ბრძ.N2-74-1),აგრეთვე, სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების  მიწოდების რეგულაცია(ბრძ.N2-76-1)საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის სკოლა ზრუნავს პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვასა და კონსულტირებაზე(ბრძ.2-103).სკოლაში აქტიურად მუშაობს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭრის ჯგუფი(ბრძ. 2-87**),** სკოლა რეგულარულად ზრუნავს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე.(ბრძ. 2-51) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. .სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრა ხდება სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესების გათვალისწინებით.  წლის განმავლობაში კათედრის სხდომებზე მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. განსაზღვრავენ  წარმატებების წინაპირობებს და ერთად სახავენ

პრობლემის გადაჭრის გზებს. სკოლაში დანერგილია „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი. პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, ხვდებიან ერთმანეთს, უზიარებენ გამოცდილებას, მსჯელობენ, რა მეთოდებით მიაღწევენ მიზანს.ინტერვიუს დროს სკოლის წამყვანი და მენტორი მასწავლებლები აღნიშნავენ კოლეგათა საჭიროებების დასადგენად და მათ მხარდასაჭერად განხორციელებული აქტივობების შესახებ. სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა და სხვა პერსონალთა ადაპტაციის წესი(ბრძ.2-98), სკოლას გაწერილი აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება(ბრძ. 2-102), მშობლებთან აქტიური კომუნიკაცია მათ მიერ განხილული კომპლექსური დავალების ბარათები და რეკომენდაციები ცხადყოფს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური სასწავლო გარემო. როგორც სკოლის 2023-2024 სასწავლო გეგმაშია აღნიშნული, მოსწავლემ განათლება უნდა მიიღოს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში, ასევე იმავე დოკუმენტშია აღნიშნული, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას, სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა და დასახულია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი აქტივობები, სკოლას აქვს მრავალფეროვანი თემატიკით წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამა, განსახილველი თემები ირჩევა მოსწავლეთა ასაკისა და ინტერესის გათვალისწინებით, თემის განხილვის შემდეგ იმართება დისკუსია, მოსწავლეები წერენ საკუთარ მოსაზრებებს, ცდილობენ, სასიკეთო ზეგავლენა იქონიონ ერთმანეთზე, რჩევითა და დახმარებით დააძლევინონ ერთიმეორეს წინააღმდეგობები . აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ სკოლაში მეტწილად უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. მასწავლებლები ზრუნავენ შექმნან ისეთი გარემო, სადაც ხელი შეეწყობა თითოეული პედაგოგის წინსვლასა და წარმატებას ,ამისათვის სკოლაში დანერგილია „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“, მასწავლებლები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე, იკრიბებიან, მსჯელობენ, აძლევენ კოლეგებს უკუკავშირს. პოზიტიური სასკოლო კლიმატი გამოიკვეთა გასაუბრების დროსაც, პედაგოგები ერთმანეთის მიღწევებზე საუბრობენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმები;
- ინდ. სასწავლო გეგმები;
- სასკოლო პროექტები/ღონისძიებები;
- ბრძანებაN2-102- საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულების დამტკიცების შესახებ;
- ბრძანებაN2-103 - საჯარო სკოლის პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანებაN2-74-1 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დებულების დამტკიცების შესახებ.;
- ბრძ.2-76-1- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დებულების დამტკიცების შესახებ;
- ბრძ.N2-77- მოსწავლეთა ადაპტაციის წესის დამტკიცებისა და მოსწავლეთა ადაპტაციაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- ბრძ.N2-87- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის ჯგუფისა და სკოლაში მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭრის წესის დამტკიცების შესახებ;
- ბრძ.N2-98- სკოლის პერსონალის ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ;
- ბრძ.N2-106 - სკოლის მოსწავლეთა უსაფრთხო ფსიქო-ემოციური სასწავლო გარემოს ორგანიზების სამუშაო რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებასა და დანერგვაში ჩართულია საშუალო საფეხურის მასწავლებლები. განხორციელების პროცესს აკვირდებიან კათედრის წევრები, ასევე სკოლაში არსებული ხარისხის განვითარების ჯგუფი. მათივე ინფორმაციით ,ისინი ინტენსიურად თანამშრომლებენ ერთმანეთთან, ერთობლივად გეგმავენ სასწვლო პროცესს, აკვირდებიან ერთმანეთის მუშაობას სწავლა- სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, როგორც კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიითაა განსაზღვრული. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა ასევე ცალსახად გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწვალების პროცესის გაუმჯობესებისათვის, განსაზღვრავს ინდიკატორებს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაზომოს როგორც პროცესი, რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე შედეგები და პასუხი გასცეს კითხვებს: მიმდინარეობს თუ არა აქტივობები დაგეგმილის მიხედვით? მოახდინა თუ არა ცვლილება პროგრამის აქტივობებმა? აგრეთვე მონაცემთა შეგროვების მეთოდები და ვადები, როლები და პასუხისმგებლობები, ანალიზისა და ანგარიშგების გეგმა, რომლის ბოლო ელემენტიც აღწერს, თუ როგორ აისახება შედეგები კურიკულუმის განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების თვალსაზრისით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარებისათვის როგორც კათედრების, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის წევრები ესწრებიან ჩატარებულ გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს პედაგოგებს. ჩატარებული გაკვეთილების ანალიზის შედეგად ადგენენ არსებულ ხარვეზებს და ერთობლივად ეძებენ გადაჭრის გზებს . მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა , ასევე თვითშეფასება ეხმარება მათ გამოიკვეთონ რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. საშუალო საფეხურის საგნობრივ კათედრებს განსაზღვრული აქვთ დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი მოსწავლეთა შეფასებისათვის და შემგდომი მხარდაჭერისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა ,რომ საშუალო საფეხურის კლასის მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ საინტერესო მეთოდებსა და სტრატეგიების გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებს, აფასებენ მოსწავლეთა ნაშრომებს და სხვა, ამით ახდენენ კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. კათედრის სხდომებზე და სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე ახდენენ ანალიზს რამდენად ეფექტურია მიდგომები და ერთობლივად ეძებენ პრობლემების გადასაჭრელ გზებს. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მომავალში შეფასებასთან წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად გეგმავენ კვლევით აქტივობებს, რომლის ანალიზის შედეგებს ასახავენ სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში.სკოლის პრობლემების მონიტორინგის და შეფასების განსაზღვრის იდენტიფიცირების შემდეგ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს კონკრეტულ ნაბიჯებს კონკრეტული მიზნებისათვის განსაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურები. სპორტის პედაგოგებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ საშუალო საფეხურზე პედაგოგები არ ახორციელებენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. სასურველია თუ სპორტის კათედრაზე სამომავლოდ შეიმუშავებენ სადიაგნოსტიკო კვლევის გეგმას და მიზნის მისაღწევად საჭიროების მიხედვით მოახდენენ ანალიზს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

- ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის პოლიტიკა ;
- ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის დებულება

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი, რომ ესაა ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, შეფასება ეყრდნობა შეძლებიდაგვარად მრავალფეროვან წყაროებს და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; აქ მოიაზრება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, როგორც წყარო, ასევე სხვადასხვა დოკუმენტური, სტატისტიკური, ფინანსური თუ სხვა ტიპის რესურსი და თვითშეფასების ინსტრუმენტები, ინტერვიუ მოსწავლესთან, მოკლე ჩანაწერები, პრეზენტაციების შეფასება, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები და ა.შ.ჩანს, რომ სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, როლებიც მიმართულია სხვადასხვა ტიპის შემსწავლელთა გამოვლენისა და მათ საჭიროებებზე მორგებული დავალებების შექმნისაკენ. განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები ცხადყოფს, რომ მასწავლებლები ცდილობენ მის დაგეგმვას იმგვარად, რომ მონაცემების შეგროვება მოხდეს მრავალფეროვანი

მეთოდებით, სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც შეამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და შესაძლებლობას მისცემს მათ სრული სურათის წარმოსადგენად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესის შეფასება განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სწორედ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. პედაგოგები გასაუბრებაზე აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია გაითვალისწინონ მასწავლებლის პროფესიული მზაობა და მისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაც, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, აუცილებლად კონტექსტის გათვალისწინებით, ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას, კიდევ უფრო დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები. შეფასების მრავალი კონტექსტის გათვალისწინების თაობაზე გაწერილია სკოლის თვითშეფასების დოკუმენტშიც . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლა იყენებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდებს,რაც შეფასებისასდმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. საშუალო საფეხურზე გამოყენებულია მოსწავლეთა როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკები. მიღებული ინფორმაცია ეხმარება პედაგოგებს სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესის და მოსწავლის აკადემიური მიღწევის გამუჯობესებაში. მნიშვნელოვანია შეგროვებისას გავითვალიწინებულ იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები, რაც სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმას უზრუნველყოფს. ინტერვიუს შედეგად ვლინდება, რომ სკოლას და კათედრის წევრებს აქვთ გარკვეული ხედვა, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხორციელდება შეფასება მრავალი მეთოდების გამოყენებით, თუმცა მონაცემთა შეგროვებისათვის, სასურველია, გამოყენებული იქნას სოციალური კვლევების მეთოდები ფართო სპექტრი, როგორიც არის ინტერვიუ, სატელეფონო ინტერვიუ,

გამოკითხვა, ფოკუს-ჯგუფი, არაფორმალური გასაუბრება, დაკვირვება და შემუშავდეს შესაბამისი ინსტრუმენტები მაგალითად, ინტერვიუს გაიდი, ჩანაწერები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. პედაგოგები მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის სასწავლო შედეგებთან დაკავშირებით და სხვ. 2023 – 2024 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს უფრო მეტად კომპლექსური,მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით , რომლის დროსაც მოხდება მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი.ეს მიდგომა  კი გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის  ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, სკოლაში მიმდინარე ნებისმიერი პროცესისა თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. სასურველია ესთეტიკის კათედრაზე კონკრეტულად გამოიკვეთოს, თუ რა საშუალებების გამოყენებით ხორციელდება ანალიზი და კონკრეტულად რომელი ფაქტორების იდენტიფიცირება ხორციელდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმი;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- შეფასების რუბრიკები;

- სასკოლო სასწავლო გეგმა ;
- კათედრის ოქმები .

შეფასება:

*o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
*o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**
**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის-განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ საშუალო საფეხურზე ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად და ჩაიშლება განახლებულ კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმაში. ამის დასტურია კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები. მასწავლებლებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ ეს პრინციპები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმის პროცესში და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად იღებს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ შემუშავებული საშუალო საფეხურის კურიკულუმის ვერსია გარკვეულწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას, რადგან სკოლაში არსებობს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, ეს შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს კურიკულუმების გადასინჯვა და მისი გაუმჯობესება; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მომდევნო წლის კურიკულუმი მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების გათვალისწინებით იქნება შემუშავებული, შესაბამისად დაეფუძნება წინარე გამოცდილებას. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, რაც კათედრის წევრებთან გასაუბრებიდანაც დასტურდება.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;

- კათედრის ოქმები ;
- მასწავლებლის წლიური ანგარიშები

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ინა ბიწაძე/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

/ლელა ეუაშვილი/

/ია ვარდოსანიძე/

/მაია შამუგია/

/ანა კოკოჩაშვილი-ახვლედიანი/

/ეკა ბარნაბიშვილი/

/ჟანა ბელქანია/

/ია სეხნიაშვილი/

/თამარი მურუსიძე/

/ქეთევან ბორაშვილი/

/ნინო კოვზიაშვილი/

26.11.2023 წ
თარიღი